იცხაკ დავიდი

# ლანდები

# Itzhac David

# SHADOWS

(POEMS)

C by author

"CAVCASIONI"
TEL-AVIV
1988
Printed in Israel

# სარჩევი


ლოცვა .................... 8 - 10
სამახარობლო .................... 11
ისევ მაწვალებს .................... 12
ნაცნობ გუბურასთან .................... 13 - 14
მთვარეულ სიზმრებს .................... 14 - 15
ის დაკარგული სინერგიები .................... 15 - 16
ნაცნობი ლანდი .................... 17 - 18
მიზნების კონა .................... 18 - 19
ქარი არხევს .................... 19 - 20
ბაღი შემოდგომის .................... 20 - 21
გამოცხადება .................... 21 - 23
იდგა ყაზმელი .................... 23
სასთუმალთან .................... 24
თრთვილი .................... 25 - 26
ნეფალიონი .................... 26 - 28
მან მოიხადა ვალი .................... 28 - 31
ჰესპერიდები .................... 32
რა დააბრკოლებს .................... 33
მხოლოდ ჩემი .................... 34 - 38
ჯეინ .................... 39 - 51
რეკონსტრუქცია .................... 51 - 54
ლანდები .................... 55 - 58
მირიანდების ქალი .................... 59 - 68
კორიანტელი .................... 69 - 70
ტოკიო .................... 70 - 73
ნილოსი .................... 73 - 76
ბანგკოკის ქუჩებში .................... 76 - 78
გშორდები ალბათ .................... 79
დილმუნი .................... 80 - 81
ის .................... 81 - 84
ლაბირინთებში .................... 84

## ლოცვა

იდო საღამო ვით ერთი ლოცვა,
ვით განწევება ძველი ცოდვების
შენ სიყვარული ღიმილით გმოსავს,
არმაზისხევურ სამაროვნებში.

მზეც ანათებდა, ყვითელი მთვარე
ეკიდა თეთრი ღრუბლების ანძაღ-
შენ შემომხედე, გაფითრდა სახეც
ფითრდება სახეც, და ქალი ალბათ

გამოვა ქალი, პირს იბანს დილით
და ჩვენ მოგვძახის თავგამეწებით -
ბნელ შენობებში ოცნებებს ითვლის
ვია მარიხის საბრძანებლებში.

და კითხულობენ, და კითხულობენ
ბავშვები დღესაც ფურცლავენ წიგნებს,
და იშლებიან მწველი ფიქრები
და ამ სიმართლეს სიმწარით ვიძენთ.

ბედნიერება შორსაა განა?!
ის ჩვენთან არის, ჩვენშია თითქოს -
რაღას დაგვიდევს სამყარო მაშვრალთ
ამ დღე განთიადს კანდელად ვინდობთ.

აქ გაწბილება დაგვრჩება ხვედრად
ოფლდადენილი გიკვდება გული,
და შენ იხსენებ საცოდავ დედას
და ყურს დაუგდებ ღამეულ წუხილს.

ვზივართ და ვფიქრობთ, არ დაიჯერებს
ამ საიდუმლოს, ეს რა ხანია -
ადაფდაფებენ საჯარო კრულვით
ქადაუკმეველ ქალამათიას.

ამ ქვეყანაზეც დასწერენ ანდერძს
კაეცინება მღვდელს, საიდუმლოს
არ შეინახავს, კიკონა წარბებს
შემომაკუთრებს, არ დავიწუნო.

სავსე კულმკერდი, მზერა ფარული
რაღაცას ამბობს, ჩუმდება მერე-
მას განაცვიფრებს ჩემი წარსული,
გადაკემსილი ღმერთების ფერდზე.

მოვა, არ მოვა, ამ გამოცანას
ვერ გამოვიცნობ დარჩება წყენა -
და შეეცდება ის ამოყვანას
და ანდრომედას შერჩება სევდა.

ხომ ხედავ ახლაც, თავს ვირთობთ ისევ
ჩემთვის ვბუტბუტებ სიტყვებს მარცხნიანს,
მარტოობაში წრიალებს ქვრივი,
ლურჯი ფიქრები სადღაც გარბიან.

აქ დროც ჩერდება, ფერს კარგავს მთელი,
დროს რა ფასი აქვს უყამსიავოდ-
ზღვას ეკარგება სამყარო მთელი,
რა გაეწყობა უნდა ვიაროთ.

არ გვინდა მეტი, თოვლი ჩამოსცრის
იმ ძველ სიწმინდეს, სულში რომ კვდება,
ბავშვი გამიგდებს ყვითელ კამათელს,
რაღას გავბედავ, აღარც ის ბედავს.

ვსვამთ სადღეგრძელოს და თოლიები -
გულდამშვიდებით გვიმკობენ ბადეს,
დაფენილ ვარდებს სწვდება მორჩილი,
ჩამომსხვრეული ზმანების სარკით.

იაფოა, იაფო...ლამაზი ქალი
შავი წინდებით - ზე-იმართება -
მე მის ნაკვთულებს ალერსით დავლი
და მოვუკოცნი ცისფერ მანტეას.

რაღა მჯონია, სრულდება ლოცვაც
და ნაუბარში იწვის სანთელი -
აქ სიზმარეულ კურთხევად მოხვალ
ცისარტყელური გარდაცვალებით.

ნურც გათენდება!გამოვცრი სიტყვებს
ჯვარზე გაკრული კვდება ქალაქი-
ვია მარიხზე იშლება კრძალვით
ის საიდუმლო,რომ მინახავდი.

ზუზუნებს ქარი, და მოსთქვამს ქალი
რაზე?ან ვისთვის,ვის უწყის მერე?
შენს ნავალებში ველი მარადისს
გარდასახვების უმწეო დღეზე!

და შორს კუნძულებს ედება მწუხრი,
აჰა,მაგიდაც...სეანსი...ლანდი...
ჩვენ რასპუტინი გვაწამებს ურჩი
და მონასტრული ზევების კვართი.

ვლოცულობ,ღამე,მაწვალებს წყეულს
რკინისგზის პირზე შერევა რული ,
მოგვაშტერდება ოცნება წლეულს
როს გვეფინება ზეგარდმო მწუხრი.

გვჯეროდა ღმერთის,ის არც გაგვწირავს
აღმოსავლეთში შეიცნობ სახეს -
თეთრად გენთქმევა შენ აქ მთაწმინდა
და ვარსკვლავეთის უწუთრო არე.

ვით ერთი ლოცვა, ვია მარისი
ანმამოდებულ თეთრ ღრუბლებს ჰგავდა,
დაღლილ თვალებში ენთო მაისი
პარასკევული მიმწუხრის ფარდა.

იაფო, 26.1.88



# სამახარობლო

破涕为笑 欢天喜地

სამახარობლოს შემომიტანს ლამაზი გოგო,
ლამპრების შუქზე მე გამიბამს უხილავ ლარებს -
დარჩება მწუხრის მოგონების ფერმკრთალი ზოლი
ნაძვის ლატნარში დამთენილი ბავშვობის ანწლზე.

მკლავზე დახვეულ სიმარტოვის ვარდს გამომიწვდის
და თმებგაშლილი ლიგლიგივით დამაშტერდება -
ნაკეთრალ ლოყას ცრემლის კვალი ჩაჰყვება დილით
აჩრდილნაკრავი ნაკრძალების სადიდებლებთან .

აიღე მღვენი,ჩვენ ეს მღვენი,ჰა,რა ხანია,
გვაწამებს, კდემით ყვითელ ტუჩებს დაეკონები -

ლიამპალებში ქანდაკებას აგებ სანთლიან
მარმარილოთა ჩაკურთული მოგონებებით.

გულში ხამალავს მოიხარბებს ლამაზი გოგო
მას ხიყვარული დღის ხიცხადეზე გაახსენდება,
მან ჩვილი თვისი განწმენდილი დუმილით შობა -
ბგერის და ასოს უნეტარეს სათავეებთან.

მე ამ დუმილში ვიძირები ისევ და ისევ,
მშობლიურ ველზე თოვლიერი დგას მოჩვენება—
სასოწარკვეთით აჩერდები გაყინულ სივრცეს
პირველსახული უფსკრულების მატარებლებთან.
.....
სამახარობლოს შემომიტანს ლამაზი გოგო ...

კუმრანი,იეჰუდას უდაბნო
7.8.87

# ისევ მაწვალებს

ჯვარს ეცვი თუ გინდა,საშველი
არ არის, არ არის, არ არის...

(გალაკტიონი)

ისევ მაწვალებს რაღაც,
მოუსვენრობის წამი, ღამეს მიჰყვება ნათელ
ზოლს სცოვებს მწარე მოთქმით –
ისევ ვაწვალებ კალამს
წამება ითვლის წამებს
ამოუკვართავ წამებს
ამოუცნობი კდემით –

ისევ მაწვალებს რაღაც,
ვხედავ მავდება სარკე,მზეხ ეჩვენება ახლა
ის გუშინდელი მთვარე –
რით განსხვავდება განა,
რით ამოვუხსნი ამბებს
წუხელ სიზმრებით მითხარ
წუხელ მეცყოდი სარჩელხ.

ისევ ვაწვალებ კალამს
ქაღალდს ედება რული
ხელი მეღლება, გული სანდულად იწყებს ფანცქალხ
რას მიქრიალებს ხული
შორს სამყაროეხ საზღვრებს
მიეცანება სევდით
მიეცმასნება წამით.
...
ისევ მაწვალებს რაღაც
ისევ ვაწამებ კალამს...

რამათ განი
14.6.87

# ნაცნობ გუბურასთან

აი, ხომ ხედავ გადაიღო წვიმამ,
სოფელს შერჩა გუშინდელი ნასეტყვარი -
ღამეს წითლად ესიზმრება დილა
და ტრამალებს დიდი ღმერთის ნაზევარი.

არ გამიმხელ ამ სახლების საიდუმლოს,
ბავშვში რჩება ერთი ძველი გამოცანა -
მორევნარევ სიყვარულში ირეკლება
ვნებიანი ქალიშვილი თვალნარნარა

დაიხრება, ჩამჩურჩულებს, ილიმება,
წარბებს შეხრის, იმართება წელში ნაზად,
მივიწყებულ ფოთოლბარდში ირინდება,
უსიცოცხლო მცხუნვარების ნასაფლარი.

და მიკრთება უმწიკვლობის გაორება
მუქ ფერებში იბინდება ვიწრო ქუჩა -
მივუყვებით ლიახვურას სანაპიროს
და ცას მზერა ეპარება მონაშუქი.

რულმორეულს მეკიდება ისევ თქეში,
წამი წამში ინასკვება, სივრცე დროში-
კვდება ისევ ერთი ძველი გამოცანა
და იცინის და იცინის ჩემი ტოლი

ქალიშვილი, მოკეკლუცო ტრფობის სარძლო
ეჩქარება მას ხორცწული კვეთის ახსნა,
თან ჩამძახის მაცხოვარის ხატ-სანთლებზე
ბედნიერი პარაკლისით გარდანაცვალს.

ჰა, შემხედე, გინახია განა სახე
დამაკვირდი, ჩემს ლოყებზე იისფერი -
გვიმრაყრილი წამწამებით თვალებს ითვლის
სულ სხვა გრძნობა ილვენთება, ნელი ცეცხლით

იბურები, ჭავლი სწვდება ნაწივარ გულს,
ჩაქრა უკვე ვარსკვლავების ბოლო წყება
მისი სუნთქვა ეპარება ნამტირალევ
სათლავის ქვებს მოქანცულებს ათას წელად.

წვიმის წვეთი ეზავთება პირველ კოცნას
და შეხების სასთუმალთან ტირის დედა -
მან კი იცის ის უბრალო გამოცანა
დილასიზმრულს ეწითლება ღამე ბნელად.

და ლიცლიცებს ერთადერთი სოფლად ჭაღი,
კარს მიაღებს ავი ქარი, მშობიარეს
გამოკითხავს, გამოკითხავს უთქმელ სათქმელს
და იანვრის თოვლად შთენილ არემარეს.

აი, ხომ ხედავ გადაიღო წვიმამ...

ცხინვალი, 2.11.1965

## მთვარეულ სიზმრებს

ამ ღამის მთვარეულ სიზმრებს
ისევ აწამებდა ქარი -
ნაცნობ პატარძალს მოჰყვა
თოვლ-კორიანტელების ქალი.

გშორდება ვედრების ცნება,
ვით სიახლოვის ფარდა,
ამ ლოცვით ეპკურა გამჩენს
ზღვისფერზე ცისფერი ტალღა.

და ყვითელ ჰორიზონტთ შორის
სასწაულს ელოდა თურმე,
ნაკორძალ თავლუნებს იქნებ
ის მიუაზრებდა გუჯრებს.

და ეფერებოდა ეტრატს
ანდერძს მანთხევდა რწყევით
ლიბლი თავგასული შურით -
დალალატებული წყენით.

ლხინში იორდანობს ქალი
დედა-მაცხოვარის კვალზე,
და ნათლას საქენჯნელს ითხოვს
ლართხია ხატების ზზარზე.

მას ეზადრებოდა სახე
და განივრცებოდა დროში,
ხრიოკი ველების პირმშო
ძველი ხალიჩების ტომის.

ამ ღამის მთვარეულ მისნებს,
თურმე აწამებდა ქარი -
და მოჰყვებოდა სიზმრებს
თვლ-კორიანტელების ქალი.

იერიხო, ოქტომბერი 1979



## ის დაკარგული სინერგიები...

ვემთხვევით ღმერთების დიდებულ პიედესტალს
დაჭრილი გულიდან იელვებს აისი -
ცხენების ფლოქვებით დაკერძილ ბულვარებს,
მხურვალე ქლომინით აწყდება სინდისი.

მშობლიურ სოფელში ნაკადულს სწყურია
ვარდებით დენილი წითელი თქვირება -
ზვირთების უვალი სამყაროს სიგრძეზე,
ხომალდი მიიწევს სვენების სირენით.

თუ იყო სურვილი, გასახვის სიმბოლო
თუ იყო სურვილი, სიცოცხლის სართავი -
გონების საფლავში ეკავა გრაგნილი
და ფეხტიალებდა იმედი მაშვრალი.

ის დაკარგული სინერგიები ...

და წინ მიიწევდა მუდმივი რონინით,
უმღური სულიდან ემებდა ნასისხლარ
ლამპორით მოვარდნილ წყლების განჩინებას -
და მივიწყებული იმედის საზიდავს.

სდუმდა ეკვატორი, სდუმდა განსხვისება
უნივერმაღებში მასები დიოდნენ -
და იყიდებოდა ფულზე გაწბილება
და ნაცნობ ლოყებზე ცრემლები ცვიოდნენ.

გონებას ეძინა ძალის მისტერიად
ქვეყანა შენდება,ვით მაღლთა პირობა -
აქ სისხლიც ფერს იცვლის ის წყალს შერევია
უცნობი ტკივილით ის ვნებას იპყრობდა.

ის დაკარგული სინერგიები ...

ვემთხვიეთ ღმერთების დამსხვრეულ პიედესტალს,
დაჭრილი გულიდან ბულვარებს აწვიმდა -
ზვირთების კვალი სამყაროს სიღრმიდან
ღამე-მანგეული გვიხმობდა ვარძია.

ვარძია, ივლისი 1967

# ნაცნობი ლანდი

დღეს ამ ქუჩებში გამიღიმებს
ნაცნობი ლანდი,
შემობრძანდება ჩემს ოთახში
დამასწრებს სალამს -
უტყვ საშმიმარში ისევ კრთება
ქალაქი სანთლის,
ლაპლაპა ქვებზე გამოუცნობს
მიყვება ამბავს.

ანთხევდა ქაღალდს, შავ ნაღველას
და იცინოდა
და იცინოდა ვით ფაუსტი
წლებით მოღლილი,
ჩანდა ფორტუნას ნაპირებზე
ბედ-მოღიმარი
ზესთ განტევების საუკუნე
გადამხობილი.

საყვარელ პროსპექტს, ღვართქაფებად
ასკდება ქაფი
და სველ ვიტრინებს მოლურსული
ავეყუდები,
ერთ დროს ფიქრების კონად კრთოდა
ოცნება შმაგი,
დიდი პოეტის შთაგონების
ნავსადგურებში.

ის მიდიოდა ვით სიზმარი
და განშორება -
გონების თვალით აწებებდა
გაცვეთილ სქემებს,
ქროდა სიცოცხლის წყალწავლიან
კარიბჭეებთან
უკიდურესი გამწარების
კეთროვან ნერგზე.

იყო, იცოდა საიდუმლო
გაუნდობელი,
თაღმაღალ სახლებს მიშტერებით
აჩერდებოდა,
შავ განტოლებად დასცინოდნენ
სხვენზე მტრედები,
ქალის და კაცის უთავბოლო
განმარტოებას.

ავიკრავ აბგას, გადადებულს
ლურჯას ტიალით,
ხავერდოვანი მთების სწორზე
ჯვარს მოვუკოცნი –
და ნებიერი მანქანების
ფერმკრთალ სრიალში,
ჩაესვენება მოტორტმანე
ქალწულის მოლში.
თბილისი, 4.4. 1968

## მიზნების კონა

ღამით მოტანილ მიზნების კონით,
დროჲს ხაუფლო ეტლებს შევხვდები -
იწვის ქაღალდი და ფერფლდება
და შრიალებენ ჩემი ვერხვები.

ვერხვების ტოტებს ცნობადიდენით
თან ეხლართება დილის მაისი -
მივიწევ ნორჩი ვარდების ფენით
ცისფერთვალება ქალის მანდილით.

იკვრება ნელა, იშლება ჩქარა,
სიცოცხლე კრთება ნერვების კვანძზე
იყო მიზანი და სინარნარე
ვით მუცელქმნილი გოგონას სახე.

მსურდა მიღწევა,გზა იყო შორი,
სავალმოსაკიდს აღარ ვემთხვევი,
გაზაფხულს მოჰყვა სურნელი მწველი
და განტევების შენავედრები.

მინდა დ ვმლიო,ო,როგორ მინდა,
ჩემს შესახვედრად ვიდოდეს ღმერთი,
კეთილ სურვილებს მიცრიდეს იქნებ-
სივრცის და დროჲს განსატეველში.

ამიშრიალებს მიზნების კონას
სიცოცხლის ნერვში სიკვდილი დნება,
პირქვე ვემთხვევი მისეულ თრთოლვას-
და ფერწასული დიაცის კდემას.

ჩავიქვითკირე ეს სამფლობელო,
კონტინუუმში სამყაროს ვიცვლი
შემოვა ბერი საგნების ლოცვით -
ამაოების ცრუ მისატყვისი.

ღამით მოტანილი მიზნების კონით,
დროის სასწაულს თუ ვეფერები
იწვის ქაღალდი და იფერფლება
იმ განტევების შენავედრებიც.

წყნეთი, 17.8.1970

## ქარი არხევს

ვიოლინოზე ქარი არხევს ყვითელ კლავულებს,
შეშლილ ქალაქში წვიმად წვეთავს ძველი ზღაპარი-
სველი ქუჩების სიმფონია ისევ მაუწყებს
მოგონებათა ურჩი წყების მწვანე მარადისს.

მე შემიყვარდა გამთენიის უსიზმრო ფერი
მე შემიყვარდა გაზაფხულის ფერისცვალება -
სადღაც ბნელ-კრულში მიცოცავდა ლამაზი ხელი
მოკვდავი უფლის მარმარილოს ცივ სამარესთან.

არხევდა ქარი შემოდგომის პირტიტველ ტოტებს -
ოპერის კართან მათხოვარი ითხოვდა საზლოს;
ის მე თბილისში მაგონებდა ბიბლიურ მოსეს
და საიდუმლოს გამანდობდა სიკვდილის სარგოდ.

რაზე ჩურჩულებს, რას ბუტბუტებს ნაცრისფერ ღამეს,
თეთრ კედელს აკრავს მოსალოცი სულის ამარად -
მას ახსენდება საუკუნის მრისხანე სახე,
შუბლმოჭმუხნული, უსაშველო ცების კამარა.

და განა ყვითელთ მიარხევდა ქარი კლავულებს,
ვიოლინოზე თუ ესვენა შეშლილი მთვარე -
ასე ელოდა ღლიმზიური გზის ნასწაულებს,
ფერისცვალების საიდუმლო ზევების ღამეს.

ქუთაიხი, დეკემბერი 1967

## ბაღი შემოდგომის

ასე იტრუნება ბაღი შემოდგომის,
ბილიკს მზის ცვილივით ათოვს ნაღამარი -
შორით ფერმკრთალდება სხივი მოსაწნისი
და ღმერთს შუამავლობს ბერი ნასაყდრალი.

მომდევს შეჩვენება, ანგელოსს მოსწყინდა,
ჰო, რა ხანია მოსწყინდა დიდება -
ბეთლემის კარებთან სანთლები დაუნთეს
მაცხოვრის მდუმარე ტუჩების კინთებას.

ვიღვიძებ,გავრბივარ,ვეცემი,ვლოცულობ
ხელებს ვშლი ვედრებით,გზა კი მიგრძელდება,
ბებერი დიაცი ძველ ამბავს მოუთხრობს
ფერების უფერო ფურცლების ფერებას.

ხმაურობს ქალაქი დგაფუნა ტოტინით,
ქუჩას ემალება დაღლა მოხაკლისი
ოცი საუკუნით ვარსკვლავს მომიქარვებს
და მელიცლიცება იისფრად დაისი...

სულ სხვა დაისია,კისკისებს გოგონა
მან შხამის ფიალა ბოლომდე დალია -
მიუვალ შარაგზას კანკალით დასცქერის,
იქ სადაც დიდების იმედი მარხია.

და იტრუნებოდა ბალი შემოდგომის,
შორს დილის ცვილივით თოვდა ნაღამარი...
დაისის მუქმკრთალი სხივებით მორთული,
ერთი უთვისტომო ბერი ნასაყდრალი.

ბეთლემი (იერუშ.,)
16. 4.1974

## გამოცხადება

ზამთრის მიწურული ტივი ფერებიდან
ყინული,ლხვობა - ბუხარი ანთია,
შემოდის ფაქიზი მიმოხვრის ოსტატი
მის ჩაკლულ ოცნებებს შუგუზლებს აყრიან.

გავდივარ გარეთ და ღამდება ნაცრისფრად,
ლივლივებს სივრცეში ღრუბლების გრაგნილი,
ჭრიალებს საგნების ბოლოუჩინარი,
მთლიანი კოსმოსი ფიქრებში ჩაღვრილი.

საამო ხრჩოლვაში მხუთრის აზოლება -
ნარნარად მიყვება ყოფას საუკუნოს,
მას ესმის,მას ესმის ჩამკვდარი დიდების
სხვაობა,მსგავსება და ბედი ურწმუნო.

კვეთდა შესაძლებელს ძველი სინამდვილე,
და გადატრუსული ველების სამანთან -
სნეული ქალაქის ქუჩებზე ესვენა
ერთი ჯარისკაცის წითელი ფარაჯა.

და ენთო ხანძარი,ციკლების გადაყრილ
წრეზრუნვას ერთვოდა ცხრაფერი ტრიალი,
მას ეკუთრებოდა სიკვდილის ტრამალი
ღმერთგამოცხადების მუდმივი ცქრიალი.

და ჭვრეტდნენ სასთუმალს მიმწვარი თვალები,
სულად დაძირული დახრწნილი გოდებით -
რაღაცას ითხოვდნენ,ითხოვდნენ ბავშვები,
ჩვეული რუდუნით,ბავშვური ტოტინით.

ზამთრის მიწურული. ცივი ფერებია,
მიმხმარი ხელები ამბობენ რაღაცას -
მიმხმარი ხელები ჩემს ძველას ელიან
და დამჩურჩულებენ:სადა ხარ?სადა ხარ?

ნარგავ-ნასეტყვარში იყო ჩაკარგული
მარცხით და რიალით ილტვოდა საძება -
ის ენარცხებოდა გულის რეფლექსიებს
და შხამის ფიალას გოდებით ავსებდა.

გოდებით ავსებდა ამ მიწა-საფიცარს,
ბოლო სიმფონიად ესმოდა რაკ-რაკი,
მწვანე რექვიემში მოჩანდა მთაწმინდა,
თეთრი პანთეონის საუფლო საფლავი.

იყო მიწურული,ზამთრის მიწურული
ლხვებოდა ყინული და ცისფერ მანტიას,
ნელა მიჰყვებოდა ღრუბლების გრაგნილი
იქ სადაც ნიკვდილი დიდებად ანთია.

თბილისი,11.2.1964



## იდგა საბმელი

კვლავინდებურად ნამვის ხესთან დნება სანთელი,
ქვითინებს ქალი,კიაფობენ კვნესის ცრემლები
საკვამლურს ჩასდევს მოლერღილი ბნელი საბმელი
და ვარდისფერში მოსაკითხავს კრეფენ მხევლები.

ნაყვავილარი სახე ალხობს სარეცლის ალმურს,
ამოჩემებულ ისტორიებს იმიებს ბერი
მას ეზიზღება საკუთარი თავის გამჩენი -
და სამზადისი მოფათქუნო ბლუნძია ბედის.

პირმკვახე სიტყვებს ლაწალუწი გაუდის დროში
დრო ჩვეულ ტრიალს არ მოიშლის საუკუნიოდ -
მოუხეშავი შიბოგინობს დონდილა თლოში ,
რომ ნათაკილარ სიძაბუნეს ფარდა უწიოს.

შრიალებს სანდოდ გაზაფხულის ჩუმი ტკივილი
ქაღალდის ნაგლეჯს ნაკირცხალი მოაქვს ამბავი,
ფარულ სანგლებში მოიქარვებს სურვილს მანგლისი-
და დაუამებს მას დიდების იავნანებით.

კვლავინდებურად ნამვის ხესთან დნება სანთელი,
ქვითინებს ქალი,და ცრემლები უმკობენ სახეს
სოფლის შარასთან,განაპირზე იდგა საბმელი-
ქუფრი მურყნარით ჩათალხული სვენების ღამეს.

მანგლისი, 1965

# სასთუმალთან

ის ზის და ელის, უცვეთია თმენის სარქველი,
ჭეშმარიტებას ხელბინძური ზეობით ხვდება – .
წარმოდგენების მწკრივი ართობს ხახელგატეხილს
და მიაწავებს სექტემბრული მთვრობის სევდას.

ქმედების ღრმა ფრიალებდა ზარბაზნის პირთან,
მახვილის წვერზე აკემსილი ჩანდა კამარა –
ეჩვენებოდა გათქვეფილი მშვენების ღმერთი
და საყვარელი ქალიშვილი – მამის ამარა

ის ზის და ელის რამდენია ღამე უთევი,
ცოდნის საზღვარი ერთადერთობს სიბნელის რკალში,
აწვალებს აზრი და სიცოცხლის არსი უცნობი –
ქანცის გამწყვეტი გაორების უწყვეტი თარგით.

და სასთუმალთან გამოიხმობს აზეზარ კითხვებს,
რისთვის მოველი? რას ვაკეთებ? საით მივდივარ?
უპანიშადებს აუხერგავს მირცვენილ გოდრებს
და გამოცანებს მიუკერმავს მთების მინდიას.

ლაზარობს დიდი საიდუმლოს მფლობელი კაცი,
უპირო საწყისს დაუქარგავს ტანჯვაგამოვლილს,
მას ელანდება ანაზვავში უხორცო ჩრდილი –
თავაზიანი ჭირისუფლის ნამარცვ ხამოსში.

იჯდა, ელოდა, უცვეთია თმენის სარქველი
ჭეშმარიტებას თვითშეცნობის სიმწარით ჭვრეტდა,
მოჩვენებების მწკრივში სპობდა სახელგატეხილს
სიკვდილ-სიცოცხლის სასთუმალთან სექტემბრულ სევდას.

თბილისი, 29.5.1968

გადაიქროლა ქარმა,კარი შეაღო  იდგა
ბნელი წკვარამი ღამის ობოლმობილა თრთვილი,
მიაბიჯებდა ნელა,ზღვის სანაპიროს გასწვრივ
ლივლივთვალება,კარგი,ჩემი პატარა ბიჭი.

ის შეჰხაროდა ტალღებს და ანდრომედას აჩრდილს
აბუ-ნაბუთის კოშკთან,ისევ ითვლიდა კენჭებს -
თეთრი გალავნის კართან,საპატრიარქოს მარჯვნივ
ეპირსაწყლისა მარტვილთ და არმენიის მძევლებს.

ხუთი ათასი წელი,ისევ აწვალებს ქალაქს -
ანკესმოდებულ ნამგალს წყნარად მიჰყვება მთვარე,
ავ სიყვითლეში ხედავს ნაპოლეონის ქამანდს
და ჩაძირული გემის ანძებავარდნილ აფრებს.

სიკვდილ დაჩვეულ გზებზე ის აიტაცებს მოკვდავთ,
და შეაყრყოლებს კარის ყანგიან ღერძზე წყნარი -
გამოდარებულ ქალაქს,გუნებაქცევით მოხავს
მარადიული ღმერთის ცისარტყელური რკალი .

რაღას შეჰხარის ივის,სურს რომ შეიტყოს მეტი,
რაღად უფასებს ძვირად საკარმიდამო ბაღებს
მისი ბნეობის კვალზე ზის და ივინის ბედი -
და ამაღლებულ გრძნობებს მიუსიკეთებს გამდელს.

და ახე მისდევს ეტლებს,დიდი განგების ეტლებს,
და ეხვეწება ისევ თეთრ იალქნებზე განსჯას -
შორს ჰორიზონტის ხაზზე გადაქანდება გემი,
შავი ზვირთების ფონზე მიეკეთრება ბალზამს.

ხედავ,მოიწევს ნელა,პილიგრიმების ტომი
გესმის ადამის მოდგმა,აქ ამეტყველებს ენას -
ნაცრისფერ კედლებს მისდევს გურჯი უსმანის ლანდი
დიდი მამლუქის საფლავს მწარედ დასტირის დედა.

და უღამდება იაფოს,ჰე, მერამდენე წელი,
თრთვილი ედება ღილის ნაქორფალ წითელ ვარდებს
ამ საუკუნის კართან შენი გალობაც მესმის
მესმის წკვარამი ღამის აგულფეთქებულ თავზე.

მიახლოვდება რიგი, წყეულ ბაღებში ვეძებ
ცნობიერების ნაკადს, წყნარად მიქარვებს ქალი
ვნებამოოკილ ლტოლვას, ნარინჯისფერი თრთოლვით
ქალაქს ედება ტოკვა მატარებლების მალის.

და სამყაროულ კროსსვორდს ძველ გამოცანას ვურთავ,
გზაგასაყარზე იწყებს ჩემი დუმილი კანკალს -
პირქვე ვემთხვევი მამის თბილის-ნაწამებ აჩრდილს
და გამოვითხოვ ჯერით უცნობზე უცნობ წამალს.

თეთრი ცვარნარა ღამე მზიურ ქალაქწი იწვა
დაშთენილიყო ობლად ლურჯად ქცეული თრთვილი -
მიაბიჯებდა წყნარად ზღვის სანაპიროს გასწვრივ
ციმციმთვალება კარგი,ერთი პატარა ბიჭი.

იაფო, 18.7.1986



## ნეფალიონი

მას მოენატრა ვერძის საწმისი,
ამორძალების დედოფალი იმოსება დაისის ფერით -
დაჰკვნესის ჩანგი
და ორაკულებს ეფერება მორცხვი საონი,
გვალვას მოეწვა საბერძნეთის დიდი სამყარო
გამოქვაბულებს შესტიროდა ორმდინარეთში
ერთი სალამბო -

ღამით ქორწილში ეძებდა სარძლოს,
მხევალი გოგო
მოზის ადგილი აერჩია ყვითელ ლეგენდად,
ახსოვდა მამის გასარიგი
ლოცვა,ანდერძი
ეზმანებოდა მას სასახლე, ნავები კიცით და
მსხვერპლად ედო პრომეთეს გვამზე
დასტოვა კრეტა და ისევ სპარტას დაუბრუნდა
აგამემნონი
და ოდისეა აშინებდა შეუვალ ტროას -
შორს ცივი ზეცის მიუვალ სამანთ
შესცივცინებდნენ მენი ოლმეკთა
და კანკალობდნენ აცტეკები, მაია, ტოლტეკი

ატლანტიდაში ინახება მათი სავალი,
არგონავტებით ამაყობდნენ მიკენის შვილნი,
მიეთვისწილა ნაცნობ მეზრმოლს
მოსთხოვა ხმალი,ბრალს სდებდა ვერაგს
და ხითხითებდა ნეფალიონი
ბანს დამოსცემდნენ ელადას მთები

მინდვრები,ტბორნი,
სამულველ სიბრძნეს უჩემებდა
აჩრდილი ძველი -
უცდიდა სასჯელს, იმ განაჩენს საუკუნოს
და განწირულებს
სიღარიბით ულბობდა სევდას,
პირუხორცველი ჭრილობების ნასისხლარ
კიდურს,
ნელა ადებდა ნაცნობ მალამოს,
ნეფალიონი -
იწვა ჭაობში, სტოვებდა ნიშნებს,ცრემლის
ნაკვალევს, ეტმასნებოდა მეძავის სითბოს
ანთხევდა რისხვას და ტყუპისცალს
ემგერა კვერთხით,
ელოდებოდა რკინის სკივრებით -
თავშესაფარში ჩაკეტილი ნეფალიონი,

ასე საბრალო, გვალვის და შიშის
უნდილი პირმშო,

ასე აგრძელებს სიკეთის ომებს,უკანდასახევ
გზებს იქირდებს მესსენიაში,
და გადასწყვიტა წუთების რიცხვი,
თვის მუნმყოვრობის
ხმაურიანი ზარ-ზეიმით ეამბორება,
ერთხელ ვერცხლისფრად მოელვარე საოცარ
გემებს -
ჯვარს სწერს მორჩილი,
სნეულ მეუღლეს
მემკვიდრეობად დაუმტკიცებს ცების კამარა,
და შეუდგება გამგზავრების წინა მზადებას -
წარსულს და ლოცვას
...



## მან მოიხადა ვალი

მოშორიშორდა გოგო,ის ისევ განზე გადგა,
მე მას შევცქერი ახლა და ეს სურათი ღამის
ჩატეხილ მთვარეს აჰყვა
ეს სატანჯველი წამი-
მან მოიხადა ვალი და სახელმწიფოს თავზე
კვლავ ტრიალებდა ომის,
ახალი ომის რკალი, ამოუწრთობი ხმალი და
ტყვიისფერი ფიცი, უცნობ ჯარისკაცს აჰყვა
გამოუთქმელი სევდა -
ისევ ესვენა მთვარე, ის გაბზარული მთვარე

ამომშრალ თვალთ და გუგებს
ჩასჩერებოდა ზეცა,
რაღას მოსთქვამდა ქალი,
ვის დასტიროდა ქალი -
მან მოიხადა ვალი და მთლიანობის დამღად
შერჩა პირვანდელ გამჩენს,
ქარიშხალური სეტყვა

იერუსალემის ქუჩებს და პარლამენტის კედლებს
რწყევით ანთხევდა გველი
ამონავთებულ ნაღველს -
და მეტყველებდნენ ისევ შენი ბაგენი ამას,
ჩვენს ძველ ქალაქში იწვა
ათასწლეული ნისლი
და კვლავ ეძებდნენ ღმერთებს
ამ დედამიწის შვილნი,დასტატანებდნენ ლოცვანთ
კიდევ ანთებდნენ კანდელთ

მე შენს ნაკვალევს მივდევ
შავი მოლილი ზოლით. მან მოიხადა ვალი
ისევ გუგუნებს ხალხი,
რჩება ურწმუნო მოდგმა,ყაყაროტების ჯარი
სცლიან ჩამოცლილ განძებს,
იწრიალებენ ნერვებს
ღამით საწოლის ჭრაჭუნს მზე ეპარება მწველი
ლაპარაკობენ მკვახედ,ეტანებიან ზანკებს
ქუჩას ედება ჩუმი
ჩურჩული სულთა მკვეთი -

და მას აწვალებს აზრი,ეს უპირთავო აზრი
და მას აწვალებს ენება წამოთრეული კაცის,
ეზრმვის სატანას წყეულს
ავი სურვილის კართან -
მან მოიხადა ვალი და გაზზარული მთვარე
მისი თვალების გუგებს ჩამონთქრეული ჰკოცნის
აღარ შეულებს კარებს

აღარ შეხმახებს დედას,
და მის მაგივრად ქარი შეუქრიალებს ოდას,
ლანდად ჩაჰყვება ცხაურთ
ლამის ჩაცრილი თოვლით
დაციგურაობს მერე
ტროტუარების ხრიალს, ცქრიალ-ცქრიალით
მისდევს
აქ მანქანების მწკრივი,
და აუთავებს აღმართს, არ დააყვედრებს ციალს
ჭუჭყიან ხელებს დიდი თავბრტყელას ტვინი
მიაქვთ
და მოედნების რკალში

ქანდაკებების წყება ისევ იწყებდა ფერხულს,
მან მოიხადა ვალი
სინდისნათელის ტორვით, ისევ წარუდგა გამჩენს
ჩვენი ტირილის კედელს
იერუსალემში, ქვებზე ითვლიდა წლების ჭავლებს
იხლართებოდა რგოლში გამოუხსნელი ნასკვი,
რისთვის დასტოვე ღმერთი,
რად გაუწყერი მოყვასს
ასე ტუქსავდნენ ბიჭებს, იდგა ის ჰწვავე
შმორი, ჩამოხვათქული საბმლის
ხბორი ბღაოდა სოფლის შარაგზას სდევდა
მსხვრალი, ის ერთადერთი ქალი, ის ერთადერთი
ვალი

ჩვენი ნაცნობი სოფლის.
მას გადავუხდი სიმწრით, მას გადავუხდი რისხვით
მას გადავუხდი ისევ
იცინის ღმერთი დიდი.
ისევ ხარხარებს ხალხი, მან მოიხადა ვალი და
პარლამენტის თავზე
ისევ ფრიალებს დროშის თეთრი ორფერი ლურჯით –
დროშის აქვიფრულ სხეულს თუ აკურთხებენ ლამის
ნაემბაზარი წყლებით,

ჩვილის ცრემლებით ნაცვალს. იწერებოდა სიტყვა.
ღმერთი,
          სამყარო,
                    სისხლი
მოკვდავთა მოდგმას ჩასცა ის პირლესილი დანა
და აისახა... და დაიხაზა ...
და დაიწერა სიტყვა:
- მან მოიხადა ვალი
ყაყაროების ჯოგის, ხორცი ჩაეტენა მიწას,
სული ღმერთთ ცების მოზურმუხტისფრო სივრცეს
მან მოიხადა ვალი...

ილო ველებზე ნისლი, ძაცარებლების ჭროლვახ
თვალი ასწრებდა საჭევს,
განა სიკვდილის მარჯნებზს წამოეკიდა ქალი,
მან მოიხადა ვალი -
ამას იმახლნენ თითქოს, კიდევ რჩებოდა წამი -
ამოხახ უნთქი ბუთქის, იმრუდებოდა რკინა
და ბრძოლის ველის რკალი
ცეცხლში გახვეულს ჰგავდა ის საცრისფერი
სახლი

მან მოიხადა ვალი და ხალხის გულში ბინას,
მოიმკვიდრებდა ალბათ დიდი კოდექსის ძალით
და გუგუნებდა ხალხი, და ღრიალებდა ხალხი
ხმას გამოსცემდნენ შორით -
განმარცოებულ ლანდებს ჰგავდნენ
სანთლები მგონი -
და ხმაურობდა ქუჩა
და იცინოდა ღმერთი,
ჩუმად ციროდა ქალი... შორით ისმოდა გლოვა.
...
მას მოუხდია ვალი.

იერუშალაიმი, 1986

## ჰესპერიდები

მზე ესვენება ეგეოსის მეწამულ ზღვაზე,
მზე ესვენებე ცეკვავენ ნიმფები -
ნამთალ ჩენილა ღამის ქალწული
ზეუსსა და თემისს,
ფორკისს და ცეტოს
და ბოლოს ატლასს თუ აწამებენ
ძველი დიდებით

მზე ესვენება ერითიას ცისფერ თვალებში,
შორს დასავლეთში იდო კუნძული
წეროდნენ მწერლები და
ღმერთის ბაღებს ენარცხებოდა გიჟი სამური,
მღეროდნენ ერთხმად და ამბროზიურ
მიუვალ ხეებს
კრებდა ჰერაკლე -

ჰესპერიდები
იქ უკვდავების წყაროს მიებით,
ოქროსფერ ვაშლებს შიშით და რიდით
წყვეტდნენ ნიმფები -
მზე ესვენება მეწამულ ცაში
და მას ხწყურია აპოთეოზი
შვიდად ვიდოდნენ ადამის მკვლელნი
უნდო მეკობრეს სამოწყალისოდ
მიესალმება,
რომ მას მიეზღოს ფიქრების წყება, კრულვის
და წყევლის
ჰელიოპოლისს უბრუნდება
ეს ეფემერაც - ჰესპერიდების.

ათენი, სექტემბერი 1984



# რა დააბრკოლებს

რა დააბრკოლებს
დაფეთილ კუნძებს ორმელ ნაქოთრალ
ქანდაკებად აუგებს პილოსს –
მას ხურდა ზავი და უწევდა
ჯერ კიდევ უცდელ წერფინორას
უებარ მუზას, მოვალეობას აკისრებდა
ჰერაც, კრონუსიც,

ის საცოდავი პირეოსი
აბჯარასხმული მუზარადში ეშვილდა ისრებს,
ფოლადის ფარით ეკვეთება ძველ მურისმგებლებს.
ჰა, ხისიფოსიც ნელა მოიწევს
საპატარძლოს ნაქარგ საწოლთან
მას გულს შეუქფევს, დაუძაძებს
ფეხების წიდებს და ციტადელებს
გაუძენებს დიდ პანთეონში –

სანამ მოწყევლილ კვალს შეჰყვება
კლდის ამაგდარი,
მარადიული დახასრულისკენ
ის პირეოსი სათუთო მღევა-ხვენებით,
მუხლს იდრეკს ახლა,
პანდარეუსიც იხმიანებს ლიდიის
ძაღლებს და გაცეცხლდება და გამწარდება,
ამორძალების ჰიპოლიტა დაურწევს აკვანს,
მოეფერება ორაკულებს
მორცხვი ჰამონი

ღამე, ქორწილი, მხევალი გოგო
და პირეოსი.

პირეოსი, 1984

# მხოლოდ ჩემი

上行下效

მე ის მინდოდა მხოლოდ ჩემი
და მხოლოდ ჩემი -
მე ის მინდოდა მხოლოდ ერთი
და მხოლოდ ერთი -
როგორც ღვთაება, როგორც ქალწული
როგორც სიკვდილი,
როგორც ქალაქი ათასწლებზე გადანაყარი
ქვების მხურვალე ლოცვა-ვედრებით
ახსოვდათ სუნთქვა

მისი სუნთქვა - რა უჩვეულოდ
ზემალიერი,თვალწარმტაცი
თაღების თავზე იმართებოდა, როცა
ებრძოდა სამაგელ ფატუმს
არ ჰქონდა სხვა გზა,წამთა ტრიალში
ესვენებოდა მზის
მკვენარი სხივთა ზიარი,
იზიდებოდა ანდამატივით,
როგორც წარსული,როგორც თამაში
იმ საუცხოო ფერთა ლივლივს
არ ჰქონდა ბოლო, არც დასაწყისი

უნებისყოფოს მიათრევდნენ ზრიალ-წრიალით,
ამოდ არსობის ურჩი კერპები-
სჭვრეტდა წინასწარ მოსალოდნელს
უხმობდა თვისკენ,
დაკირთულ ბალღამს ხელის პეშვით
უწვდიდა ბავშვებს-
სწამდა ელოდა პრინციპების დისჰარმონია,
სწამდა ელოდა უკიდურესს
ნატიფი ჭოლქით-
და რიხრიხებდნენ გამთენიის ჭოდა
ბორბლები,
ენატრებოდა ჩვილის ამბორი
პაწია არსის და საიდუმლოს
ნასულდგმულევს

ძველი იარით,თან აცარებდა, ეძებდა
სცენას და .ისტორიას მოუხმობდა
თანაავტორად –
თუ მეტი არა,და იქნებ ცოტაც
დასჯერდებოდა საშური როლსაც
და თვალნათლობას პირველარსობრივს,და
იდგა ჯოგი ქვეშევრდომების,ვით თვინიერი
შვილების ჯარი
და ჩინელობდა
მოარბოვე მპყრობელი კვერთხის –
ვარსკვლავთმორბედთა

დაინიშნება მემარხულე
მზინავობის დროს,სცენაზე ადის საწუთროჲს
ერთი მასხარა
და აჩხორებულ მებარგეებს ეტყვის
მშვიდობას,
მშვიდობას ეტყვის და გამოსცლის
შხამის ფიალას,
ზის გახუმხული ალმაფრენის საკუთარ
ლტოლვად –

საზოგადოებამ
შეცოდება დაუშვა მოდგმად,გადიხარხარა
გადიხარხარა –
დიახ, სცენაზე ადის ერთი მასხარა,და ახე
ამბობს:
– მე ის მინდოდა მხოლოდ ერთი და მხოლოდ
ერთი –
როგორც ღვთაება, როგორც ქალწული
როგორც სიმართლე ჯერ ართქმული,
ჩამანქანებულ სინამდვილეს რომ ჩაესისხლა
რომ ჩაეწება,რომ ჩაენასკვა,
ვითარცა თოვლი –
ნამანჯიკარ ნაკვალევს გზისას
მენატრებოდა უმქური კომში
სოფლის დიდებას აყვედრებდა წმინდა ლოგიკის

ტკბილ პარადოქსებს,
გადამწვარ კვანტებს
სიმრავლის მარცვალთ -
ახსენდებოდა ბრძენი თალესი, მემკვიდრე
წყლების, ქანის მტეხელი
ანატოლიას აცოცხლებდა ღმერთების სახით.

არ ჰქონდათ ბოლო, არც დასაწყისი
რომ მე მინდოდა მხოლოდ ერთი და მხოლოდ
ერთი, როგორც ქალწული,
როგორც ღვთაება,
ვით წელიწადი დატეხილი დღეთა კორძებით
და იყო სავსე ჩარაზული
ხულის საპალნით, დამაჯუნობდა მემორიანეს
კონკილა მონმში
მემორაჯული პარახკევებით
და მხოლოდ ერთი ტრიალებდა მზე უპირხორცო
და მხოლოდ ერთი
ციაგებდა მთვარე შობილი -
ალესილ ნამგალს წააგავდა
ღრუბლის ნავლეჯში -

ცის ტატნობზე ესვენა ნებით
ხელგაჩვეული
წიგნი სიკეთის და მობრძანება,
დაჯერებული მკოსანთა რწმენით,
კანონმდებელთა ურიცხვი წყება და
მეფერხდება
ულონო ჩურჩვნით ამოიმახებს
ისევ და ისევ.

- მე ის მინდოდა მხოლოდ ჩემი და მხოლოდ
ჩემი -
- მე ის მინდოდა მხოლოდ ერთი და მხოლოდ
ერთი -
როგორც ღვთაება, როგორც ქალწული
და ხულ ერთია,

რას ამბობდა წყეულთა რაზმი
და სულ ერთია,დახავსებულ ყორღანს
შესძერი,
თუ დაპირებულ ემბაზის წყალს
მომაფრქვევ ისევ -

გასამართლება უვიცობის საწყენი
კრთომით ის ალიონი -
ის შეცისკრება,
როგორც დასხლტომა ლაფანა ბიჭის
გამლევს უმალოდ მოხიბლული ქათქათა
ზეწრით -
გამლევს და კიდევ აიტაცებს
მთების მოდელებს,
დაიგრიხება სანდალოზისფერი მართვებით,
გარემოცული სიმაზუნის ტიალ ამარად
ამოვარდება,
ქარი შემლილ
ალარდენებზე, ზემო მდინარის მწვანე
ქათიბს ააბიბინებს, გადაიშლება აქ
ბუნება ძველი წიგნივით -
წამლების სარგოდ, ორჭოლა დასჯად
ვალგადაუხდელთ მოისტუმრებს
თითინა ქალი

ნაცნობ ოსტატებს თუ შეუცვლის შეხედულებებს
გადამღრძვალი ევანგელესი,
ასე ატანდა ცივ ძვალ-რბილში
ბეგეჩო ჭოტი
და იცინოდა დასაკლისხი პყრობის ფიალად
დააკისრებდა ბოლოსასრულ
დამლუპველ სრბოლას,
მიწა და ომი ცხადდებოდა ღუმილის
სატრფოდ -

ემატებოდა ბუნებას სევდად,
უნებისყოფო ტანის ვაებად,რჩებოდა ერის

ისტორიას გრძელ მოგონებად,
რჩებოდა ერთი,
ვით სული წმინდა

ვით ალგორითმი სხვა სამყაროჲს, ზედ
დაფხრეწილი ცალავარი ეკიდა დროშად,
დაჭირვებული შესცქეროდა ალეწილ ქალწულს-
ის მას
უნდოდა
მხოლოდ ერთი და მხოლოდ ერთი
და უებარი, ნელი ცანცალით მიედინება,
გადასწერს პირჯვარს
- ის რაც ყოფილა, ის რაც არის,
ის რაც იქნება -

აზეთქებული ლინცილ-ზარზაცით,
შემაზამს ეყვანს, მერე ღვინჭილებს
ჩამომაზერცყავს პირმომცინარი და
ჩათავდება წლების ღვაფუნში,
ვითარცა სითხე სანდოდ დენილი, მვეღ
ფანცაზიას
დაავედრებს ბოლო სათხოვარს, ღირსქმნილ
მადრევნებს შეასხურებს
მეძუძურ ლურცყებს და დააკურთხებს
ლოცვას, ზევებას, მათი სხეულის გადანათლულ
დიდ სიმაზუნეს
მოევლინება ვითარც მესსია -
მას ის უნდოდა მხოლოდ ერთი და მხოლოდ
ერთი,
მას ის უნდოდა ვით ქალწული და ვითარც
ღმერთი,
ვით ყველაფერი და არაფერი
ვით თვისი თავი, უკეთური კლუბუბის მჩენი
ასეთი იყო საოცარი გარდაცვალება -
შობილა ღამეს...
ქვების მხურვალე ზიზღის ფაცუში!

თელ-ავივი, 16.5.1986

# ჯეინ

შენ ფერწასული შემოხვედი ოთახში ჯეინ,
ენთო მანილა სააღმურო მიმწუხრის კონად,
შენს მავ თვალებში გამოკრთოდა ცისფერი ღმერთი
რაღაცას ჩუმად ჩურჩულებდა ქალური კრთომა.

ვზივარ,კედლები დუმდნენ ხევდის ნელი დუმილით
იმაგრებოდა ეს სხეული სამყაროს ხვედრად -
მის სახებაში პირცემული ნაღვლის სურვილით
ირეკლებოდი წამიერი შენდობის ბედი.

და გრძელდებოდა ეს ტკივილი, ბნედის,განსახვის
იბადებოდა კვლავ მსოფლიო გრძნეული სიმვის -
ენა მრებოდა...სიტყვას ემებ,გარეთ გაგიხმობს
სამგლოვიარო განაჩენი უნდილო ბიჯის.

ქრება ოცნება,თვითქმნადობის მორევში ვათრევთ
აზრი,გონება ტვინის ხვეულ ხორცულებს ხვდება -
მიახლოვდები,შენი სუნთქვა ედება ბაგეთ -
და თვალსიზმრული მარტოობით დაგვხარის ზეცა.

ჰა,ეს ოთახი,მოფრქვეული ამბრის სურნელით,
მოგყვა კურთხევა მონალოცი შორი ვერხვების
ფილიპინური ლოცვა მესმის ერთი უთქმელი -
და სანტა კრუსზე ფრთხიალებენ ჩვენი მერცხლები.

გიყურებ ახლა,შენს ნათითრებს დავითვლი ტანზე
გიყურებ,თვალებს მავედრებენ მწვანე ველები
ხელს იშვერ ნაზად,და მანიშნებ,ჰო,ასე, მალე -
ნურც გერიდება,ჩვენი არის საკურთხეველი.

მეც საკურთხეველს შევლიცლიცებ დათმობის ნიშნად
მასზე ამ ღამეს აღიქმევა ჩვენი ზეობა -
ჩამეხუტები პირშიშველი და მაშვრალ ნიავს,
თუ გადაყვება... უწყინარი ჩვენი მეობა.

ასეთი იყო, ასეც იყო, ასეთიც დავრჩი –
განა რა ვიცით, ამ სამყაროს სირთულეს ვიხსნით
მორით ცოლდასობზ მეგობრობის უფერო თასი,
ყამთარეკლილი მოვანება შერისხულ სინდისს.

სინდისს ნაფიცარს, ან უფიცარს, ან უთავბოლოს
სინდისს დაკორძილს, ზენა რწმენის უებარ ფასად –
ბანავის ცყეში ჩვენ დავქოფრავთ რძიანა სოვოს
და მკვდარ ქუჩებში გავიხსენებთ საყვარელ მამას.

და ლაპარაკობ და ცუჩები მძაფრობენ კმევით
თავისკენ გვიხმობს კუნძულების სული უძირო,
აქ ესპანელი მაგელანი მისცირის შემფისს
და პავსანჯანთან გაიხსენებს დედა – ულუპონგს.

ჰა, ის ქალწული, ბაზილიკა, პენაფრენსია
შაბათ-სექწემბერს მაზეიმებ სამსხვერპლოს ვნებით,
20 წლის გოგო მეცხადები, მე კი მრცხვენია
რომ ვერ გისწორებ მზერას ცივი ნოემბრის ბნელში.

მიყურებ, თვალებს რა აავლის იმედის ლოვლივს
მე ამ თვალებში სასოებით სამართალს ვეძებ –
დამიყოლიებ რუდუნების განფენილ სიმძილს
და არუჯული ჩაუყვები ნაცოდვარ ფერდებს.

აჰა, ეს ქუჩაც, ჩვენი ქუჩა მარი ოროსსა
ნაცნობი სითბო – შენი სითბო როზა მარია –
აქ მანილაში მემალება ჩვეული ლცოლვა
ცორდესილია, და სალცედო და პასაია.

როდემდის?! იქნებ?! ან კი ახლა, რაღაცას ვროშავ
თავი ფილთაქვას ემსგავსება ოქსიროს პირზე
სიზეცის ოფლში იწურება ზრიყვების მოდგმა
დაყვედრებული გუნდრუკების ზაფხულის სიცხე.

ასეთი იყო ის ზაფხულიც,ჩვენს მანილაში
მორჩილი ბერი მირონცხებულ საგებელს ჰგავდა,
უკანასკნელად გაგილიმებს შენ აქ რიზალი
და ნეტარებით გაიშლება ცისფერი აფრა.

დუმილი ისევ, მაქმანების ნაზი რონინით
იხრები ჩემსკენ,ცხოველმოსილ სასწაულს მაგავ
შევცქერით წარსულს, მომავალი სევდით მოგვიტირის,
ჰო,შემიცოდე ! მომაფარე მზრუნველი კალთა.

იყავ მაცხოვარ! რას დაგოგავს ლანდი ოთახში,
გიორგობისთვეს დაგვიფურცლავს ბედით განაჩენს -
ვიყავ,ვიქნები ერთი ღმერთი, ერთი მოკვდავი
ჯვარუწერელი ფინთი გოგო მას რომ აწვალებს.

გაწვალებ განა?! დაფდაფების ხმაურში ვმირავ,
ამ ჩვენს სიყვარულს, ფიცხლართულებს,ღილის ზეობას
დავაფრთიანებთ განშორების საოცარ მიზანს
და ღამის ზრიმლზე განსხვისებულ მოცალეობას.

ახლა უკვე ვგრძნობ, ფათურობენ თითები ნაზად
თითქოს დამანგულ მარგალიტებს სწყვეტენ იები,
სითბო ილვრება არსებობის უზადო რაცხად
დაპირთავებულ ბალღამს ვიწრეტ შენაციები .-

შენს მზეს თუ ვფიცავ,დელოფალო, მომესაფანლე
ბინიბინები აქ მაგანდას ეტყვიან პასუხს -
შენ ჩემი იყავ, ჩანასხეპი იმედის თავზე
და მხოლოდ ჩემით თუ მოიკლავ ნაფერალ საწყურს.

მ'ეც სულის თრთოლას,რა ხანია,გაგანდობ ბნელში
ახალი წელი! ღამე ნების! მყოლდი ბავშვო -
აქ სამი ბრძენი ჩემს სისხლს ემებს იანვრის ექვსში
და ემდურება - სანტო ნინოს უმისამართოდ.

ჰო, ახლო არის ულეველი შვება უკვდავი,
ჩვენ შემოვსახავთ ახალ ქრისტეს, ახალ ხამანებს
დაგვეკვეგება ის ურჩხული, ერთი ურწანი
და საოცრებად ჩინურ კერპებს აალაპლაპებს.

მაისის ყვავილს ემსგავსები ფიესტავ, გოგოვ!.
საპილიგრიმოდ დაიძრები პასკვალის ტყეში -
მადლობას სწირავ მოციქულებს კიაპოს ბოლოს
და სავარცხელა უხსენებლებს დაითვლი ზვრებში.

არ მეშინია,შენს ხელთა ვარ, მოგაქვს წანდილი
სხეულს სწყურია და მას რწმენა რით ეკმარება -
მე ვტრიალდები და ცისფერი გძვრება მანდილი
რომ ხანუგეშოდ ის ზე-არსი მომეცხადება.

მომეცხადება... შორეული წუხილის კვალზე,
მას ჰონკკონგური ძუნთან მოაქვს ჯვარ-სამკაული,
სამკვიდრებელთან აღიმართავს ედემის ბაღებს
და ნეტარებით ჩაგეკრობა ფერდაკარგული.

ხელიც თოთინებს, ნაზი, თბილი ფენადი სრბოლით
თვალებს მილულავს სამკურნალო წამების ნიშნად,
შენ საყვარელი,შენ ლამაზი ვარსკვლავის სწორი -
დამაჩერდები, მექცევადი სამყაროს ფიქრად.

მეფუთფუთები... ეკლესიებს ჩამოჰკრეს ზარი
და ხმას გამოსცემს უცოდველი მაგდალინელი, ;
უმართებულოდ ვინ შერისხავს ტოკიოს მარტვილთ
ზეცის და მიწის უპირობო დანაპირებში.

ვეფოფინები შენი კაბის ლუთლუთა რუშებს
დგახარ, არ იძვრი და მიჰყვები აზრთა დინებას -
დამყურებ ცოდვილს მადლიერი და უნაპირო
სად უწყვეტობა სიყვარულის ლამპრად იქცევა.

გხედავ, ვერ ვბედავ ჩუქურთმების უხმო კანდელო!
მე უძილობას ვერ ვეჩვევი, ეს რა ხანია -
აქ საოცრება მნიშვნელობის სიმშვიდეს იძენს
და მოგონებას ენკენისთვე მოუზამთრია.

მიახლოვდები, შორეული სიცოცხლის ფერი
მიახლოვდები და დატიტულ სურნელს მომჰადლი,
ლოცვად შემდგარა ჩასორსლილი სამყარო მთელი
აქ დასასრულსაც ავიწყდები ქალურ მორთხმაში.

მე ვგრძნობ ქალი ხარ, შენს ქალობას ვემთხვევი ჯეინ,
პირქვემხობილი, კურთხეული, ხელხვავიანი -
ნალტობ სახეზე თვლემს სამება და ობლად შთენილს
დაჰყურებ სხეულს ნაწუთარი კრძალვის ტრიალში.

გემუდარები და ტუჩები გიხმობენ თვისკენ
გემუდარები, ამ ნაკრძალში ვის რა მიუხვალ -
ითხოვენ სარკეს, ამ სარკეში აისობს იქნებ
ის დაკორძილი სილამაზე, პირს რომ მიუკრავ...

მეც ნამთვრალევი და დაღლილი გეხები ნაზად,
დავბორიალებ ამ ქალაქის ბებერ ქუჩებში -
ამ სარეცელზე მე ოცნებას ვიფარებ საბნად,
გარეთ თოვლს სცრიან იმ წყეული ფიქრის მწუხრები.

მაწყნარებ, იდო იმ მწვერვალზე მნათობი მწვანე
და მოსაწყლისი სხივით ბგერდნენ ცისარტყელები -
გეფერებოდი უდროული ტკივილის მაცნე
მომსკდარ ნიაღვრებს ჰგავდნენ შენი მიხაფენლებიც.

ჰა, კიდევ ცოტაც და გადასწყვეტ როდია გვიან,
ქალურ ყოყმანში თეთრი მკერდიც აგემგორება -
ნარინჯნაყარნი ლამუნობენ მზისთვალა დვრილნი
და თრთის ნათელი შუაღამის განმარტოება.

მე ამ ნათელში შენ შეგიცნობ, ძვირფასო ჯეინ!
ჯეინ ძვირფასო! ახლაც მიმხელ ძველ საიდუმლოს -
ნეტარ მოგზანენ მაგ კაშკაშა სახებას ზღვები
შენი ლუზონი, და ნეგროსი და მინდანაო.

ნუ გაიკვირვებ! დავიწყებულ ყვავილებს ვეტრფი,
თავცელქიერი შენს თემოებს ჩავეკონები –
აჰა, ზევდება მარტოული ცდუნების კვერთხი
და მევლინები სანუგეშო ცხრომის მორევში.

    წითელ ღრუბლებში ქალწული მზე ესვენება,
    ჩვენ ამ სიწითლეს ხატ-ჩვენებად შევიცნობთ აქაც,
    შემოგეცალა უფლის კვართი და გეფერება
    კანკალი ჩემი, კაეშნური, მწამვლელი დაღლა.

ნულარ ქვითინებ, მე შენს რიდეს თუ შევრჩენივარ
კიდევ ცოტაც და შენს ნარინჯებს სახსოვრად ვითვლი
და მეკითხები, ჩამჩურჩულებ: – ბედნიერი ხარ?!
გეპასუხები. – ბედნიერი ვიქნები, ვიცი...

    შენ მასწავლიდი ფილიპინოს, მე გალურსული
    გისმენდი, ვნებას მისცემოდა სხეული მთელი,
    რად გვინდა ენა, სივრცე იყოს გადანისლული
    და ეს ოთახი საიდუმლო მფარველი ჩვენი.

ახლაც ვწერ, ახლაც და საწერი მრჩება ულევი,
ბედნაწიერი შარავანდით გხიბლავ მადლიანს –
იყო ამბავი და გასრულდა რაღას მიყვები,
რაღას მიყვები აქ, გზის პირზე დილაადრიან.

    და ნუ გეშინის, ნუ გეშინის მომიახლოვდი,
    მე კვლავინდებურს არ დავიშლი მსოფლიოს სამხელს –
    მიმშველი გოგო ერთ ძველ ზღაპარს რომ მიამბობდი,
    მიამიტ დათვზე, თავზურთქუნა სანატრელ დათვზე.

იყო ბავშვური აღტაცება და განტევებაც,
მრჩებოდი ხელში ბროლის ხვედრი ნათელმირონის –
ყვითელს შემოგხსნი, ჩამწკრივებულ მძივებს ეკვეთა
თანსატარები ცრემლიანი ლოყა პირმშოსი.

    ჩამოგხსნი ბოლო მოელვარე ფერის ნართულებს
    თორმეტ მოციქულს მოგავედრებ ლამაზო ქალო –
    აბრკიალდება შენი სახე ციფრის მარწუხზე,
    ჩემო ბუნებავ! შარავანდო! სიკეთის ძალო!

ჩვენ მანილაში ფიცი დავდეთ, იერუსალემში
მე მე დავიდის – ქრისტეს საფლავს ვეამბორები -
ჯეინ ძვირფასო მედევნება ნე შენი ლანდი,
სიზმარეული, იმ ტკივილის, იმ ხასოების.

სულ სხვა ხარ ახლაც, ხელოვნების ტაძარი კრული
რითმად გეზული ღამეული გადათრთოლება –
ინთება ნატი, სისხიანი ქარების ტრუნვით
და მრჩები ასე – გულუბრყვილო არმოგონება.

გფარვიდეს ღმერთი, ხედავ?! თურმე გაბედე კიდეც,
დაჰხარი სხეულს, აცოკებულ წუხილის დარად –
ჩინურ თვალებში მოსაწირი გამოკრთის რიდე
ჩვენს უწყვეტობას მალაია ღრუბლებში მარხავს.

ასეც შევრჩებით ფილიპინურ სივრცეს ცრემლებით,
ცისა და მიწის უკაეშნო ყრუ კოლოსებად,
შენც ალანძული, ალეწილი მომეთქორები –
ჩუმი დუდუნით, ნელი ფთქვენით და გაოცებას

უკანასკნელად შემოგვარწყევს სამშობლო მხარე,
ჩვენთვის ნათქეში ნამურყნარი ბუდრუგანებით –
იავარქმნილი მიერთდები კეკლუცი ტანით,
კავკასიური ალიონის სიმხურვალეში.

ბობოქრობს წყრომით და ზვირთდება მარღვებში სისხლი,
და მაუმღურებ შენი კდემით, შენი მუდარით –
აქ ას პესოზე იყიდება ქალური ხორცი,
ტირისდენილი, თვალხილული, ნასათუთარი.

და გეტრფი წალკოტს, გეფერები, ღვით მოარული,
ვიღაცა ერთი, სურათებში ნამგერ-ნამხობი –
შენ ჩემს მუხლებში ესვენები, ვითარცა ღმერთი,
ვით ერთი ლოცვა, დიდ დუმილში ამონაკრთომი.

მომადებ ლოყას, ოფლგადამსკდარს, მავედრებ ღიმილს,
თითქოს ჰორიზონტს შენი სახე ჩემად მთენია –
აუმაგმაგებ ჰორტენზიებს სალამბავ სინდისს,
ელვარე გოგოს ღამის სევდაც შუქად გფენია.

მე ტანს ჩავიბან სურნელოვან ემბაზონებში -
მკლავს შემოგავლებ, ლამაზს, თავხედს, მუმუმადლიანს,
დაგვიკერმოვეს ჩვენ ტყუილი და განშორების
ზარს სცემენ ახლა და მაისის ვარდებს გვაყრიან.

გვაყრიან ვარდებს, იფუთქება უკვდავი სული,
ჩვენს მიზეზებში ვეძებთ ღმერთის არარსებობას,
ძვირფასო ჯეინ, რად ერევათ აქ თვალებს რული?!
რატომ მქრქალდები ჩვენი ბედის სამან-ზეობავ!

უფრო ახლოს ხარ მეკვეცები იების კონა
და ნაცისკროვან ხაზებს სწყვეტენ განმარტოებით-
სამემკვიდრო თაიგულებს უმკობენ მზორგავ,
სტილსა და ფორმას ეკლესიურ საგალობლებში.

გიყურებ ახლაც, სათხოვარი განა ბევრი მაქვს,
ძველ კონსტრუქციებს გადაყვება დაღლილი ფიქრი
და მეკითხები კიდევ ერთხელ: - ბედნიერი ხარ?!
გეპასუხები, - ბედნიერი ვიქნები ვიცი.

იყავი ერთი და მრავალშიც შემომრჩი ერთი -
სწორედ ასეთი, ეჭვიანი, მიუნდობელი,
აუწერელი ტანჯვით მოკვდა ის დიდი კერპი
მოკვდა მორჩილი საუკუნო სამადლობლებში.

უაზრობაა ეს სიცოცხლე და იქნებ მართლაც,
ზეარსობრივი ცოდნის მსხვერპლი ვხდებით ამაოდ-
და ვითარდება და ტრიალებს სამყარო მარად
ტრიალებს მარად, სათუოოდ, უმისამართოდ.

ნაოჭასხმული შუბლის მიღმა იდო დუმილი,
ვითარცა წმინდანი უკანასკნელ მე-ს რომ ეკვეთა,
უარყოფათა უარყოფას მიკლავ სურვილში,
ნათელმორწმუნე აღზევების აღსაზეველთა.

და ვიმირებით დაქანდული სარევლის ბოლოს
ერთი სხეული, ერთი არსი, ერთი სახობა —
ხორცგეულლები სამერმისო მაოების სწორო,
ენერგიათა სულუპოვარ საწონ-რაობად.

იყავ ყოველი, იყავ დენი, იყავი სითბო
ჯერ-არ-დახატულ სურათს ჰგავდა შენი დღეობა-
იდგა ვან-გოგი და ირუსებს გესროდა თითქოს,
განუკითხველო და უთქმელო სისავსეობავ!

ჩვენ ესპანური ისევ გვესმის ტკბილნაუბარი
მეტყველებ ქალი, კანდელივით მერხევი ტანზე,
განა იქნები მხოლოდ ჩემი და საკუთარი?!
არაფრისობის სიმაბუნეს სახელად მარქმევ!

ჩვენც შევიმულებთ ტვინბიწიერ დიქოტომიას,
აქ, ამ მიწაზე ჩაქარწყლებულ ვარსკვლავებს მოვთვლით
და გამიღიმებს ზღვების შვილი, მას რა ჰგონია
სანტა ლუჩიას ნეაპოლში ჰკიცხავდნენ მორჩილს.

ახლაც გგრძნობ,იცი და სიცოცხლის ხლართებში მითრთი,
მიწმოუსვლელი ჯარისკაცის საფლავს იხუტავ —
იყო სიმწარე, რჩება ღვარძლი, ვივიწყებ თბილისს,
ცვარდაპკურებულ, ნათილისმარ სულელ ბიჭუნას.

თვალცრემლიანი მევედრები ლოგინში, ჯეინ!
ნუღარ დამტოვებ, ჰა, შეინდე ეს საფიცარიც —
მანილურ ღრუბლებს რა ხანია მოსცილდათ ფერი,
უკანასკნელიც დაგრჩენია განსაკითხავი.

ისევ ლოყები, შენს ტუჩებში დროც ითირთლება,
კისერსაბმელზე წარსულივით შემოგევლები,
თეთრ თეძოებში მე მესსია მომევლინება —
რომ მაწამებენ, მაწამებენ შენი ტერფები.

შეგიცან ახლა ბიბლიური ალერსის ცოდნით,
შეგიცან ახლა, ჰო, ასეთი, მარად ასეთი —
ჯვარცმული ქალი სამომავლო განგების სწორი,
ზღაპრად ქცეული ნაანდერძევ მირიანდებში.

იწვის სანთელში ჩაფერფლილი ჩვენი ზევება,
კვლავ გეფერები, შეგისუნთქავ, შეგითრობ ისევ -
შენ ღვთისმშობელი დაგავედრებს ნეტარ მშვენებას,
ბოდისათვები დაგაყრიან იისფერ მირთებს.

მე შენ გაკურთხებ ცის და მიწის მწველი კურთხევით,
შენ დაგაკურთხებ ჩემს ნაადრევ შემოზამთრებას,
მე შენ გაკურთხებ შენივ სისხლით, შენივ სურნელით,
როს შემლილ ქუჩებს შენი ლანდი მოეზმანება.

ვფიქრობთ და ვფიქრობთ,საფიქრელიც ყოფილა ბევრი
შორს პლანეტების წყება დგება უთარიაგო -
ხელს იშვერ ჩემსკენ, ჩემი იყავ, იქნები ჩემი,
გზაც გვიგრძელდება, რას გავაწყობთ, უნდა ვიაროთ.

უნდა ვიაროთ, ძველთაძველი კრთება სიზმარი,
კრძნეულ იმედებს დამიმარხავ, ცვილა-სანთლიანს,
დარჩები ჩემთვის სანატრელი და საფიცარი,
თითქოს ბუნებას შენი სული მოუბანგია.

ასეც შეინთხევ ამ ფლუიდებს საშოში, ჯეინ!
საკვერცხურებიც აგეშლება ღამის დედოფალს -
ჩამაშტერდები სასოებით და ნაზად მეტყვი:
ჰო, იქნებ ახლა შეიპირებ ახალ მეგობარს!

მეგობარს ქცეულს, ჩაქცეული ხევების რისხვად
ჯადახანძრული, დაშანთული სიცოცხლის ბოლოს -
ბედნიერი ხარ?! სწორედ ახლა მე ცოლად მირთავ
შენთვის საყვარელ, ტკბილსაწიერ ფუნთქულა გოგოს.

აღარ გეშვები და წამების სრბოლაა ბნელში,
რაღაც გიჟური, თავხედური, არ-მიწიერი -
უკვდავებისკენ მიგვაქანებს შემლილი ეტლი,
საბედისწერო სიძაბუნით განათიები.

და გევედრები, გევედრები ამ წუთში, ჯეინ!
შენი სურნელი აკმეული ქალური რიდით -
ლოცვად შემდგარი დიდი ღმერთი რაღაცას ელის,
რაღაცას ელის გულუბრყვილო პატარა ბიჭიც.

ხედავ უკრავენ, პოლონეზი იღვრება ისევ
ძველ გრამოფონში ბგერებს სცემენ შავი ნოტები,
და ჩვენც განვაგრძობთ ველურ ცეკვას აისის პირზე,
რაღაც ტკვილით, სათნოებით და სასოებით.

ცვალებადობაც დაადგინეს, ყოფილა თურმე
თეოკრატიას მისტიკური ეხლება ფარდა -
ფილოსოფოსობს ერთი კაცი მაგიურ შუქზე,
მაგიურ შუქზე ავარდება ტისფერი აფრაც.

და მეკვეცები და მეშლები სხეულში ქალი -
ქალი გართული აბსოლუტურ პარადოქსებში ,
დამლოცე კიდევ, კიდევ ერთხელ მომშალე ძალი,
ნაღველჩაფრქვეულ, უკაცრიელ სიმარტოვეში.

ვფიქრობთ და ვფიქრობთ,მდუმარებენ ტუჩები ისევ
გულმკერდს ევლები განთიადის ზარების ნაცვლად -
ნაზი თითები მხურვალებით არხევენ სივრცეს
და მიყვებიან, მიამბობენ მიამიტ ამბავს.

ამ ზევებაში განუსახველს განსახავ შვებით,
გაბზარულ სარკეს მიაწყდები თმენით, კანკალით -
და ამოიცნობ გაოგნებულ, საფიცარ ჯეინს
ღამის მორევში დიდ ცდუნებად რომ მინახავდი.

ჩვენსას,სოფელში ბრონწეული მწიფდება ადრე,
ნექტარდაქუნდულ სიწითლეში დუღს ალუბალი -
მე ამ ალუბლებს დაგიკრიფავ აგვისტოს თავზე,
და ბრონწეულებს დაგიმშივებ ქალურ სუნთქვაში.

დრო სწყდება ბაგეს, გვანიშნებენ და იქნებ კმარა,
კმარა დინება სიყვარულის, ტკვილის, ფიცის
მაყურებელიც სტოვებს დარბაზს ეშვება ფარდა,
და იზიდება ჰაერწავლი წყლიანი სილის.

რაღაც ტრიალებს და სამყარო პირს იბანს, ზენიტს
მიმტერებია ქონდრისკაცთა სულგრძელი მოდგმა -
და გამოველით ჩვენ სანუკვარ დიდებას, ჯეინ!
ახალი წელი! ღვთისმშობლური ქალური ლოცვა!

ვინ რაღას მოსთქვამს,გამოსატირს რა ეძებნება
თავისუფლებას შეჰხარიან ნაბიჭვრის ძენი -
დავყურებ ანბანს და ოცნების კარიბჭეებთან,
ავეყუდები ერთი ვიღაც - სამყარო მთელი.

გარბიან წლები, სათქმელს აჰყვა სიონის სული,
მომენატრები წამიერი, ღმერთნაფიცარი -
ჩვენს სიყვარულში ჩაიღვენთა სამების მწუხრი,
ინტრამუროსი, დონა პასი, ბედნატირალი.

აი, თენდება,მანილური თენდება დილა,
ვიდოდე ღმერთით და გფარვიდეს ცათა ვედრება!
და გეფიცები, გეფიცები სანუკვარს, წმიდას,
რომ სამუდამოდ ეს საღამო დაგვეკვებება.

დამითამამდი,გამწყრალ დროსაც ამილამბაქებ
მომიჩვილდები პირველთქმული, ბოლოდროება -
მიუსუსხდები საწუთროს, უნდოს, საძ ველს
სისხლდანთხეული სილუეტის გადათოვება.

გზაუვალ ქვეყნებს ფერნამკრთალი ვესტუმრე,ხედავ
სიგრძივ ჩაწოლილ ლანდებს ჰგავდნენ ჰორიზონტები,
დიდი ხანია ჩემი სული მივანდე ეშმაკს
და ლურჯ ხომალდებს ვეფერები უმანკოეთში.

კალთააწეულს მიგამსგავსებ მაცხოვარს, ღამით,
ეთამაშები ეკკლესიის ხატებს, სანთლიანთ
ნეტარმც გაგრძელდეს სანუგეშოდ ეს ერთი წამი,
უკანასკნელად რომ გესტუმრა ცოდვა-მადლიანს.

მივბორიალებ, განაგრძობენ მოკვდავნი ზეიმს
ქრება სანთელი, იბადება ვიღაცა სადღაც
და წარმოსთქვამენ, წარმოსთქვამენ შენს სახელს,ჯეინ
დედა-ცხოველო, სასწაულო, სუფევდე მარად!

საკურთხეველთან,შენს ნათითრებს ვითვლიდი ტანზე,
სადღაც კვდებოდა თვითქმნადობის ერთი ოცნება,
შენ სამუდამოდ მეპირკემსე სამშობლოს ცაზე, -
-იცოდე ჯეინ, ჩვენ ეს ღამეც გვემშვიდობება!

მანილა, 14.10.87

## რეკონსტრუქცია

როგორც თვალთა ნარეკლი,ახსენდება ბავშობა -
მზედაფენილ გაზაფხულს პირველზედობს ნაკანი,
გადახედავს სარკმლებით ფერდჩატეხილ ღრუბულებს
წინაპრებად ჩაკირულ ნაალმასარ სამარხებს.

შეესწრება სამხრული ტაიფუნის ჩვენებას
ისევ მოაჯადოვებს ბედნიერი ნიავი -
ომს ახვდება მსოფლიო, გულხმიერი მშვენება,
საიმედო სამსხვერპლო, ცრემლმობანილ დასაწყისს.

შემდეგ ლაპარაკობდი,მზე ესვენა სამფერში,
ღმერთს ვუსმენდით, პასუხი იკარგება ნაწონში -
ენახება სიბერეს იმ სიკვდილის ფეხისცვლა,
იყო ის განაჩენი, მლებით ამოსაწოლი.

და ცდილობდა ქარიშხლით მონაბერი არმური,
ემარწუნა მთის კალთებს ჩარუჯული ზღვიერი,
იბირებდნენ ვარსკვლავებს ცით მორთული ზავებით
სადღაც იძირებოდა ნაბუქარი თხიერი.

ყღერდნენ უხმო პირობად ჩვენი ცისარტყელები,
ბგერდა მისი სახელი ვით ადგილის დიდება -
ხელგაშვერილ ოქროში კრთოდნენ დილის მისნები,
აქ სიმწარე საჩუქრის მისადარიც იქნება.

გახსენდება ბავშვობის წლები გადაკარგული
როს იწყება განსახვის ერთი რეკონსტრუქცია —
ეჩვენება დასაყრდენ ფუძეს მიმოფანტული,
სანტორინის მიწების ლურჯი ანდალუსია.

მე მოვარჩენ ცრემლებით, ჩემი წლების ცრემლებით
იმ პირველი ტკივილით, როცა მთვარეც გვნებდება,
დნება მზერის ღიმილში, უსიცოცხლო ფერებით,
მინამტვრეულ სიმღერას შიშით რომ აჩერდება.

დაიღალა, კვეთილ ტყეს სახემკრთალი ხველებით,
არწმუნებდა მწვერვალებს — ნაკადულით რეკლავდა,
იწვნენ იმ დიდ ხევებში დამსხვრეული ღმერთები,
გამართლების ნაზღაურ უთვისტომო დეკადად.

ნალოცავი ხატებით, შეთაკლული ხელებით,
ნაცნობ სარკმელს ატანდა გამწარების სიყვარულს,
მას ეძებდა თვალებით, ჩანისლული თვალებით
ცვალებადი მიზეზით ისხვისებდა სინანულს.

ვუბრუნდები, წრეხაზი მიგრძელდება, სწორია,
დარჩა ამოუხსნელი განტოლება სასრული —
ხმაურნაცობ სამყაროს ენატრება მგონია —
დამაშვრალი მესვეტის სამარტვილო მარხული.

ნაფიცარი კურთხევით, ვეწირებით გულისთქმას
ყანაცელილ ნამგლებზე ვნებით ლხვება სიზმარი,
ბროლზე ტოკავს გარემო ალანძული მორიდან,
ვერცხლის ბუმტებს ათრთოლებს გუშინდელი მომღვარი.

შევისუნთქავ ამ ჰაერს, ხვალ ის აღარც იქნება —
მე შევიგრძნობ სამყაროს ჩემს შემდეგ რომ დარჩება,
მე განვივლი შენს სითბოს მშობლიური ისლიდან,
ქვებს რომ ჩაილიცლიცებს, მზეხ რომ შეეფარცხლება.

განა რა შეიცვლება, განა რა დააკლდება,
საკუთარი ოცნების ფრთებით კემპიდობები,
კვლავ დარჩება ფერწერად შორეული სიმღერა-
ნაზი ნათითურების დაწყევლილი ზმორებით.

ისევ ის მიდამოა, ისევ იმ საახალწლო
ბგერებს სცემენ ზარები, ეკლესიის ზარები-
სამონასტრო დერეფნებს ეფინებათ ნარინჯის
მონაზვნური გოდების ბროლისთვალა ზმანება.

ნუთუ ვეღარ შეიტყვე, განცხადებად მერქმევი,
განა შენ არ იცოდი საიდუმლოდ ნათქვამი,
ერთი, ორი ათასი ისაკლისებს არყოფნას,
მოყვითალო ვედრების მწვავე გადასაკარგში.

ავიწყდება ის ქალი, ჩვილი გრძნობის შობაში
ავიწყდება ტკივილი - უეცარი ტკივილი
ანგელოსებს აურთვეს სამერმისო ნობათი -
ცისფერ მარღვში ჩაწნული ხიცხიანი ივლისი.

ცა-ქუხილად იელვებს დიდ მძივებად ასხმული,
ბილიკების იავარ-ყოფილ ძეგლებს ინთებდა-
მარმარილოს კეთროვან სანთლებს სწვდება ასული
ევკალიპტის ფოთლების მწვანე გამოსხივება.

ისევ ის სამყაროა, ისევ ის ნაღვლიანი,
მზერა ყოვლისმომცველი, შხამში რომ ჩაილია,
ჩემს არყოფნას განიცდის ღმერთი სევდისმომგვრელი,
წითელ პარაკლისებში ალბათ ისევ მიცდიან.

მიცდიან ნეტარებით, ხელახალი რონინი,
ხელახალი განხახვა მთვარეშობილ წამებში-
ამაღლების საოცარ ნიშნებს კრებენ მოგვები,
თეთრი სახელურების მახილშეცვლილ ნარევში.

ძლიერ ლტოლვას ერწყმიან გაბედული აზრები,
დგას სამყაროს კარიბჭის ერთი ინტუიცია -
ნაცნობ ქალებს ელიან ჩვენებური ბალღები,
რომ დაიწყოს ზღაპრული დიდი რეკონსტრუქცია.

ამ მსოფლიოს ევლება მთლიანობად ნაქარგი,
საზოგადო აზრთ-დენის ბნედა-გამოვლინება
თვით-მარტოობს საზღვრებზე ცოდნის ცივი ნაკადი,
ებრაული სიმღერა მას განა მოსწყინდება.

თანმიმდევრულ წელთა სვლას ენაცვლება ქრონოსი,
მუდმივობად გვემკვიდრა წამიერი მშვიდობა-
ძევს სული სავარძელში,ხავერდის სავარძელში
ვით ჩვეული სიზმარი,ვით გამჩენის პირობა.

იშლებიან ვარდებში ძველი იპოსტასები,
საიდუმლოს უმხელენ, ჰპირდებიან სიყვარულს
და მიჰქრიან ნავებით,ცისფერთვალა ნავებით,
ამ სანუკვარ ოცნებას ის გონებას მიანდობს.

გაიღიმებს კეთროვან სხეულს ეტყვის: აღსდექი!
კომპრომისულ გონებას ზვირთებივით ასკდება,
ზებუნებრივს მონახავს ევანგელურ ქლომინში,
როს მას მაგდალინელი სევდით მოეზმანება.

და იყო დასაწყისში ის უპირო ბავშვობა,
ბგერდნენ მისაკარგავში ჩვენი ცისარტყელები,
ღამეულ წრეხაზები იწვა ერთი ქალწული
პირქვეული მშვენებით, შვების დიადემებით.

მეცხადება,სამფერში გზა გრძელდება მგონია,
თაობების ტიტინში ფერმკრთალდება ნაკრძალიც,
დღეულ რეკონსტრუქციებს ვესალმებით შორიდან
სისხლიანი მეგლების უკვდავების ნახაზში.

ბეირუთი, 1984

# ლანდები

牛鬼蛇神

თავდაღუნული ცხენი
პირმომცინარი ქალი -
თეთრად ფეთქვადი თეძო
მხევალი ქალის კაბა

ნელა მიცოცავს დროში,
სივრცედ დაღვრილი გრძნობა,
ჩიხის სიღრმეში კვდება
განმარტოების ყამი.

იყო ასეთი ღამე,
ყვავილებს შლიდნენ წითლად,
ყვითელ მოლოდინს ჰგავდა
რძისფრად ნასხური შუშუ

და მიდიოდა ცხენი,
ლინჯი ცხენური კრძალვით
და მიცოცავდა დროში
გაშიშვლებული ქალი

ერეკლებოდა მინებს
ის მორეული ხევდა -
მხევლის ალისფერ მანდილს
ადევნებოდა წყევლით.

ერთი უცნობი კაცი...
დაკოყრილ შავ კანხ ბანდნენ,
მზეზე კიაფობს შვებით
ამ სასოების წამიც

იყო ურიცხვი წყება,
ნაქანდაკარი მიზნის -
ქვემეხის ბათქში იწვა
ის ერთადერთი ქოლგა.

და იშლებოდა ქოლგა,
წვიმა წყლირფავდა ზეცას,
იდგა გოგონა ერთი
ეფერცხლებოდა ლოყებს.

იდგა, მდუმარე ტუჩებს,
ის აპკურებდა წვეთებს
წვიმის წყლურთიან წვეთებს
ტროტუარების ნახვდარ

ზედაპირს ერტყა მცველად,
დიდი სიზმრების რკალი,
მილში ეხვევა არსი
ნაჭარმაგარი დაღლით.

გადაიწია ფარდა,
გადმოიწია ქალმა
მისი პერანგის ცისფერს
გადმოეფერთხა რული,

ასე ქირდავდნენ მალვით,
ვარდად დაღვენთილ ბაღებს
ებედებოდა ბედად
აღმოჩენაა კრული –

იცვარებოდა ნისლში,
შუადღის მწველი ბრდელი
თავი გამოჰყო ქალმა,
და გაიღიმა მთვარემ.

გაოცებული ბავშვი
მიშტერებოდა ნამვებს –
ივარგებოდა ბროლში
ის ენერგია მთელი.

დააცხრებოდა მოკვდავს
უარყოფილი მარხვა
მზის სამონასტრო მითებს
აკანკალებდნენ პარკში.

მიაბრძანებდნენ მეტროს
ნამარხილევი მთენით,
ეშელონების რიგში
ეზმანებოდათ ღმერთებს.

ემალებოდა მთვარე,
ნაყვავილარი რწყევით -
ეკლესიების გუმბათს
რისხვად არხეულ რწევას

და შემცირდება შემდეგ
დიდი უდაბნოს პირი,
ქალი იმალებს ფეხებს
დაენარცხება ბნელით

და გაუწვება ფიქალს
იმ საიდუმლოს თავზე,
ატორტმანებდა ისლის,
სარეცელს ამღევს ნებას

და ეგვიპტური მალა
შემოაკვდება გრძნებით
სააბაზანო სარკეს
შეეთავსება გველი.

და ენატრება გამჩენს
ის მომღერალი მიწა,
ქალი იხრება გვერდზე -
და ანალიზით იწყებს

დიდი ზღაპრების თხრობას,
რას ეხუტება ბებერს
დუმს იმ სურათზე სარკე
პასტორალების ბოლო,

ჯვრების კიმონო თავებს
ჩაეკონება სული -
და მწარე განცდის ელვა
და მოლოდინის ბრუნვა

კააჭქერდება, იტყვის:
ყოფილა ალბათ ბედი
ტაბარინების ცეკვას
თვალყურს ადევნებს გიჟი

ფაფარაყრილი ცხენი,
დაეწაფება წყურვილს -
ტელესკოპებით იკლავს
მოკვდავი არსის რწმენას

პირმომცინარი ქალი -
წრეში შეკრული ბოლო,
გადარეული ღმერთი,
გადახრუკული შიწა

იგივე ჩრდილის კერძი,
ძევს აბაზანის გველი
ემუდარება იქნებ -
ისევ გაიღოს კარი

ბოლოში შავდება ქუჩა
დისჰარმონიის გემო -
ქალი აწვალებს მანდილს
და მისი თეძოც ტოკავს.

და იწერება ისევ
ის უთავბოლო სევდა,
ჯვარცმულ მიდამოს არჩენს
მზით მოფაქლული კუბო

ცოტაც და ალბათ, იქნებ
ცოტაც და... დასცემს ამენს
უკანასკნელი ჭირით,
ცოტაც და ალბათ იქნებ...

რამათ განი, 6.5.87
მიმწუხრისას

# მირიანდების ქალი

როგორ აიტანს ტკივილს,მირიანდების ქალი -
იდგა მდუმარედ, კუთხეს შეფაკლებოდა ვერძით,
იდგა მანდილის ცისფერს
აფრიალებდა ქარი,
იდგა ნაძვის ხის გასწვრივ
ის ნამომღვარი ქალი.

გონების თვალით ჭვრეტდა,ფიცის ანაბეჭდს
შემდეგ, აფრიალებდა,მოწმედ ესვენა
ძველი რწმენა,
დასნეულებულს ჰგავდა,საათს ეკურთხა
წამით,იყო ასეთი კაცი,
ასე ესმოდა არსი,კოსმოსი სამოსს იცვლის
და ელიმებათ მართვებს,
უნდოდა,ისევ უნდა ანაქლიზ წახნავს
მოჰკვეთს,
გაცბუნებული,კზებზე აითანალრებს აზრებს,
ბორბლების სრიალს აცანხ
იმ განწბილებულ ტკივილს,
პასუხს აგებდა,ღიაზ სიზრიყვის მწარე განცდას
პარცინზანული მალით,ავლენს კანონის
ბარბაცს,დანაშაული მოსდევს
შემკვიდრეობის ნაჯანყს, ჩუმად,
წვიმის ხმად ესმის,ცრემლად ნადენი წყალი -

გამოიდარებს ქვებზე, მწვანით მოფუთქულ
ქვებზე, სათლავი კრთება
იწყებს მთელი სოფელი კანკალს -
აცეცხლებს ცოდნის წყარო,
განა მას ცოდნა უნდა, ახალ წელს ხვდება
კდემით -
მირიანდების ქალი,
სიღრმივ ნაცთუნებ მანძილს ეძნელებოდა გავლა,

ინანიებდა აზრებს

განზოგადების ფორმად,გამოანათებს ნამვის
ჩამოქერგილი ნემსით,შეცდომა იყო ბოლოს, იწყებდა
ფულის ათვლას,
ასამართლებდნენ ჯაშუშს დიდი შტატების სარგოდ,
წვავდნენ სიონის დროშას ქრისტიანეთის კერძად
სევდად მოსთქვამდა ნეტარც,
მირიანდების ქალი,
ბიბლიურ მზერას ჰგავდა
ცოცხლად იწვოდა მზერა -
პატრიოტების კივილს,ნახარში ხორცის სუნით,

ქვაბის დუღილის სამსამს დაეხარბება ძაღლი
მითითებების კონას წყენით ისვროდა ბათქით,
პარლამენტების თავზე
მორცხვად ფეთქავდა მთვარე,
ფეთქავდა,
ყვითელ საფენს დაუქანებდა სხეულს -
ჰა,კაპიტოლის გუმბათს დაენარცხება კვნესით,
მირიანდების ქალი
სიკვდილის საზღვარს სცდება,

თან აღმართულ გალავნებში აჩქარებულ ლანდებს
ემებ,მიმოქრიან აქ ეტლები
და შრიალებს გამოცანად
მტკივნეული ადგილჩენით -

და იყო იგი ვით განთვისება
ვითარც ცოდვილი ქალი სიცოცხლის,განწირულებას
შეერია თავქვე, სიმორეს
ივერცხლებოდა წვივაფერთქილი, ეს მსხლომიარე
ლამაზი ქალი
ანრი მანგენის შიშველი დანთქმა
და რენუარის ოქროს ფეთქება, ზურგმოელვარე
აცისკროვნებით
ფაქიზი გრძნობით, ნატიფი ბროლით
ზის ვიდარის მოდელიორი
და ენეთქება თემო თემოს თეთრი ვუალით და

არქიპენკოს ამონათვლებით, დაეკონება ძველი

ბრანში მის ტიტველ სხეულს,
იყო მეუფე ღმერთის სიტყვა და დიადოქი

აზრთა მპყრობელი, მამას, სალმობად, შეაბნელდა
ის განდევნილი ბავში მორჩილი,
იყო მზადება გამგზავრების
სალხინებელში, ელვარებდა ათასი ფერით
და ჩირაღდნებით ტაატ გაბმულ
მუშა-დერეფნებს

წყევლით აჰყვება ის ტალატანი, ჩამოდის ბერი და
იარებით, კედლებს აწებებს ყვითელ ფირნიშებს,
აქ
ეკკლესიის სასთუმალთან იწყებს ბორიალს,
დამრეტილ ვნებას აუგებს ანდერძს,
მოაგონდება ქალის მუმუ,
იისფერ მაგრებს შეახებს თითებს -
ვერცხლისფერ სიზმრად
და წარმოიდგენს პერსპექტივას წამების ზოლად,
დაიბადება, ფერს გაიგებს, გარდაიცვლება
გაიგებს ვერრას -
მას საუკუნე კვრინვა-კრულვით შემოაკვდება...

იყო მოკვდავი, დარჩა მოკვდავი, იწეწებოდა
ვით დიდთავა, ყვითელთვალება
ბუთა მოდგმა თავის ოჯოჯში, და კითხულობდა ბავში
ზლაპარს, პაპის სამმიმარს გამოსცემდა
მდორედ უდაბნო -
იყო წერტილი, გაქრა წერტილი, ჩამოიკივლა
ანაქარწყლმა მთელი მიდამო, მიიბირა ნატიფი
წლებით
ჩანდა ფენილი ხადღეგრძელო ჩაღვრილი ყანწში,
ჩანდა და იწვა გულწასული
მიშველი ქალი, ქალი მანგენის, ქალი მზისფერი
და რენუარის და ვიდარის
მირიანდების, სატახტო ქალაქს აშმორებდა
ამბარი მწველი და მძაფრი იყო ის კივილი

შუაღამისას, სწერდა და სწერდა ახალშობილ
მთვარეს წერილებს, სწერდა და სწერდა

და ქალაქის
გროვად ეყარა,
მარადიული ის საცკივარი, იკვეცებოდა წელი ადენი,
აღარ ჩქარობდნენ ცხენები გავლას-
პწვირე წუნწუხში ნაწამები იწვა წირული
და შრიალებდა ბარში
წიფლნარი,
ის მშობლიური, აი, ის ქართული
რა უანგაროდ ემსახურა მთვარის ქალშვილს იმ
უბოლოო შემოგარენში, მაინც რჩებოდა მონაგონარი,
მიბარცყუნებდა რუსთაველის გამზირზე
მვებით, დიდ ვიტრინებში

მზით ლანდავდა ცბიერ სათაელს, თუ იყო
იქნებ, არც იყო ალბათ
გამოცხადებას დაუცდიდა ქანდაკებების პირ -
- გასაყარზე,
უნდოდა მეცრი, მას ფარულად, თეთრ თემოკრულზე
პირჯვარი ჰკლავდა
და ინახავდა იმ საიდუმლოს მიღმა შავეთის,
ბედკრულ სიმღერად უნდა დასმლიოს ქალაქის მგიდე
ან დამორჩილდეს და იკმაროს
დროის სანგალი
რა იყო შმაგი, რად იყო ავი, დარბაზში ცხრომით
და ითხმულიყვნენ სეფეწულები,
მიძველი ქალი სვინაობდა ნათელ-მირონში
ქალი მანკენის და რენუარის და ვიდარის
დედა მარია - წვივნაკურთხი, წარბებზნაზავი
ენკენისთვეზე მოინაგრებს ადრეულ მობას
ხელთ უზის პირმშო,

უმიწაწყლო ერის სამკვიდრო, ნელა ირხევა და
ნამზღვევი თვალების მიღმა,
გასჭვრეცს საფლავის მოკიანთე გლუვ ცისფერულას
დიდი ხანია, იერუსალემს ჩააკვდა ცკბობით
დიდი ხანია მან აკლდამა დაიდო ბინად,
და სანთლის ფერზე მას
ცვრიანი იაგუნდები აპირმკრთალებენ,
მეშუპებულ კრილობას ბანენ, მეცრი ხიცხადით,

ევლინება დიდი ბალღამი,მოინანია მან სიკეთე და
მებრალება, მოინანია მან მაცხოვრის ნაჭფი
თემო,
ზარიც ჩამოჰკრავს რა უმწეოდ
შუაღამეა, ოხრად ჩარჩება ვაშინგტონში დავლის
სავსება, შეეკირთება ყრუ ხიმძიმელ მოხკოვურ
კრანიცს,
მირიანდების კეკლუცი ქალი, ქალი სიმჭკიცის და
სინანულის, ქალი მოზღვევის,გულის აყრის და
გაშმაგების,
იწვის აპრილის უანგარო ღმერთების მსხვერპლად,
და ხრიოკდება იუდეას ჭიალი ველი
და იცინიან, აქ შომრონის ვეება მთები-
რა საცოდავად ჩაიწვა ქალი,შადიდებელთა ლოცვანთა
ბედად და ამბიონზე ფსალმუნობდა ბერ-დიაკონი,
ასეც დაურჩა გამოცანად იმ ღმერთის
სახე,წყალობა მისი, პირმონასხურთა წყაროს
პაჭივით, იმახდა სახელს და კიდევ სახელს,
უფლის სახელი
შერჩენოდა ნაობლარ ბაგეს -
ამ დერეფნებშიც ელოდება მოსალოდნელი
სამყარო ჰგავდა დაღამების ერთ დიდ ჰოსპიტალს-
მზე იმსხვრეოდა ნაღველნარევ ოქროს ზოდებში,
თლილფრქვეულ მუმუდ

იფრქვეოდა გერანიუმი ...
იყო დრო თესვის, იყო დრო მომკვის, იყო დრო
ცელვის -
დღე დაბადების, წამი სიკვდილის,
გამოთხოვების ელოდება
ობოლი ქალი, მირიანდების დახუთულ სუნთქვას
ენაპირობს
შიშში ნაწრთობი

განგების შიში დააპირებს ცივ რეაქციას
და აბდაუბდებს წამორომავს
მოსხივცისკარე ლუდის ლავინში -
ჩალალმვულ ალებს იფერებდა სიცხით ნაშობი,
აღარც უნდოდა არაფერი, და ყველაფერი მახ

აცეცხლებდა
დიდი განძების საიდუმლო, ნაწლავაყრილი ღმუოდა
გარეთ,
აყრიდა ქაღალდს ფიქრების გროვას
რა საოცარი იყო ქაღალდი
ეს ფარატინა მსუბუქი ქოვლი-

ამდენს იტანდა, იტანდა სივრცეს, იტანდა კვნესას
ჩივილს, სალმობას, იმოსებოდა თეთრი
თილისმით
შავ აშიებში ეძებდა ალერსს -
ასოთა ციმციმს ებრძოდა თრთოლვით გროვად აყრიდა
ქაღალდს საწუხარს,
და ტვინის ნაოჭებს ახურებდა
ლიწინ-ლიწინით
ტირისდენის თვეს, სიცივე იდგა მას არ
სციოდა, ან იქნებ სიცხე ამოუწვავს ჩამეწნილ
გრაკლებს -
ის ამჯობინებს ამ ტკივილის გასხვისფერებას
დაე განკებამ იმტვრიოს თავი, ქვების
სიმძიმეს,
აღარც იგრძნობს, ტროტუარები დასცინებენ
სინათლის ნატეხს,

ბედამომწყრალი არსაითკენ მიექანება, ჩანდა
სადგური, ალუმინის ჭროლა საკნიდან
იდგა ის ქალი, მაგდალინელი ბეთ-ლემის ზარებს
ებრალებათ თოთიბა ჩვილი,
მდინარესავით არყევს სიბილწეს პატარა ღმერთი
აბნევს საკმეველს მარმარილოს ქვედა თაღებზე-
მობისლამეა, პიროზაა საბრალო ქალის
ბეღურას ფრთებზე
მიტორტმანებს გოგონას სული,
გზაარეული მიიკვლევს ბილიკს ბეთლემებიდან
იერუსალემში,

თან საიდუმლოს მოიქარვებს სრულ განყენებად
იმ საიდუმლოს, ჯერ არნახულს,
ჯერ არგაგონილს,

რომელსაც არ აქვს არც სასრული,არც დასაწყისი
ან იქნებ მხოლოდ უებარი რაღაც გუმანი,
ხვედრად სიმშიმის
სიცივე კედლის და მარტოობა სათაკილო
გლოვის მშვიდობად, ჰო, კიდევ და კიდევ
მოითმინე თმენა მოწყენის

ჰო,ისევ და ისევ მოითმინე თმენა მოწყენის
მვლების სიმღერა, რაღაც უცნობი
დის-ჰარმონია,
ჯარი ლანდების გეკიდება ხეიბარ დროში,
ამ სივრცეს გასცრავს რომაელთა ნაკემხი ქალა-
მიწისქვეშეთის სიგრილეს ერთხმის უფლის
ნაკაზში,
ამ ავაზანურ კაჭაკომბებში,
ის შეიძულებს თავის თავსაც და გამოცანად
დაურჩება იმედის ღედას,

სამოთხის ქალწულს,ნათლიღების დროს ელოდება,
ამ მოსათმენში, ჰა, ამოხეთქა ნავთის ჭავლმა
უდაბნოს პირზე-
ვარდისფერ სევდად აბრკიალდა მთელი
სამყარო,
გაბრუებულნი პირქვე მხობილ მხევლებს
ანდობდნენ,
მოსაკითხავი ქალის ხაწალელს...
იყო სიმდიდრე, უხვი ნადიმი თავზე სდიოდათ
სინოტივე ვერცხლის და თრთვილის
ამაოების ფილიგრინებში

ეძინათ ნეჭართ, მონაზვნურ ხიზმრებს
აწეპებდნენ ცოდვილთა მენი, მლიქვნელურ ბაასს
ეძირება ცოომის სარქველი -
ჰაერს აპობდა ნელი ქვითინი,
მთვარის დუმილი იმ საიდუმლოს გვინახავდა
მიუკერძებელს, ჩვენი დაცემის
სავირთარემოს,და თან გვესმოდა მორეცხვის ხმა
ბანდნენ ქვეყანას, პირს იხოკავდნენ
პაწაწინა ლოკოკინებიც
თან ვსაუბრობდით გამოუვალ უკვეთ ჩიხებზე,

აჰა, ივსება, იხატება დიდი სურათი
ყვავილის ფოთოლს მიახმება ჭრელი ობობა -
და ცის თაიგულს ჩემი მზერით ააკრიალებს -
უცდის და ღმერთსაც ელიმება, უცდის და უცდის
აგონდება -
ძველი წკივილი, გაანდობს ქაღალდს, აწრიპინებს
კალამს ვაებით, გადმოღვრის საღვრელს
იცდის და იცდის, ილუზიურ ოცნებებს წმინდავს,
გადავიწყებულ კათარსისებში
გაურბის მიზეზს, ხელში რჩება
ისევ შედეგი,
ხვალინდელივით მძაფრი და კუშტი
გაბზარულ ჭურჭელს აჩერდება კაცი უნდილი და

გაქვავებულთ გააცოცხლებს მირიანდებით,
უარყოფათა ფასს გადიხდის ცივზ ცხელებით,
შეებრალება ჯერ მოყვასი, მერე კი მტერი -
ბრუნავს ბორბალი,
დაგოგირობს ისევ გოგორა, იგივე ენა, იგივე
სიტყვა, იგივე გრძნობა უტყვი და მკრთალი,
ისევ და ისევ ტრიალებენ ჰიაცინთები-
ზის მელოგინე, ელოდება, იღება კარი, შემობრძანდება
ანგელოსი წელში მოხრილი
და შეხცივინებს მოსაყდრეთა ნაცნობ ტრაპეზას,
ის მელოგინე, ის მშვიდი ქალი
მირიანდების
ანრი მანგენის, რენუარის და ვიდარის -
სულის სიმბოლო უნდა მინოტავრების ასულს,
გვამის სიბერეს ატანს დაქანცულ, მაშვრალ
წადილს -

იყოს ღმერთების კერძი,
ის ერთადერთი სიტყვა თითქოს დაირღვა რკინად
იმ განდიდების რვალი,
მირიანდების ქალი
ისევ აწამებს ალბათ, ნაცნობი ხმების რკალში
იქნებ უყვარდა ბედად, ის საოცნებო ქალი
არა ამ ქვეყნის ქალი -
ჭეშმარიტებად ენთო, სადღაც გონების ფუძეს

მიჰკედლებოდა ალოდ,
გუმანს იშლიდა აფრად, იალქნის ცისფერ ანძას,
ელეწებოდა ღამით, ის გაურბოდა წარსულს,
ის გაურბოდა წუხილს,
ლიტურგიების ენა სიცრუის როტვას ჰგავდა,
ნაზად ესვენა წიგნი —
ამბიონების თარო, ნაშომრონალი ქალი
აფრიალებდა აფრას, და ირხეოდა ფარდა

იგერიებდა ძალით, ჩაგროტესკებულ ქორწილს
რისთვის უნდოდა, შორით, ფასეულობას ჰკარგავს
სნეული გვამის ტყვეა და დისციპლინურ საზრდოს,
ისევ მიაწერს ტკივილს
ჯერ არ დაწერილს, ამბავს
პაროდიაა სისხლის, პაროდიაა ხორცის —
ცნობიერებას ანდობს სახელდახელო ზღაპრად,
მან ჩაიარა ახლაც, მისი სურნელი შერჩა,
შრიალა ფურცლებს ღამით, მეტყველებს ჩრდილი
რაზე?! ლაწვებზე დასდის ცრემლი,
დილის კუთვნილი ცრემლი

მომავლის უთქმელ კანონს,
ნაღვლით დადგენილ დასკვნებს —
მიაცუხცუხებს ბერი, მირიანდების ქალით,
ისევ შეიგრძნობს
სივრცეს, გაგულმარდებულ სივრცეს
ოდეს შერჩება მხოლოდ, მის
თავის ქალას გველი, წაიბუტბუტებს ალბათ,
მოწამეობით ნაკრთობ
ლოცვან-საკითხავ აზრებს
ტახტრევანდებით სარძლოს, ზე-ააზრმანებს

თრთოლვით, პაროდიების წილად,
ზახელ დაიგებს ბადეს, დალუდუდებულ
თვალებს —
ზეცას ააპყრობს მოთქმით,
ცოდვის შენდობას ათხოვს
სულთმონაცვლობს მტვერი, კონტინენტების
რყევას, ისევ აცლიან საყრდენს

ამ პალესტინურ მტვერში,
- ჩემი სამშობლოს მტვერში
ის ეთხოვება კალამს
ის ეთხოვება რვეულს -

ის ეთხოვება აზრებს,მოჯადოებულ წრეხაზს
სამკითხველოთა პათოსს,
ფილოსოფოსთა სურათს
მას გადასძახებს დუნდგოდ -
თავაგდებული ხალხი, ის დაივიწყებს
პატივს იდილიების სარგოდ,
დააწყებინებს როკვას,
გადარეული ცეკვით,აამოძრავებს სახმილს

ხანძრის ალების პირზე
გაახსენდება თოვლი,ნაყმაწვილარი
გუნდით დაემუქრება ურჩხულს,
მირიანდების ქალი
განა შორდება აწმყოს,იდეალების სწორზე
გამთენიისას ზუთხავს ძველი ლექსებით
ნაწრთობ,
გასალხევებულ დრამებს
დიდ ტრაგედიად ენთო,კაცმოთნეობის ცაზე
მირიანდების ქალი

ისევ უცდიდა აწმყოს, იმ მეც მიცდიდა
ნატვრას მიუყვებოდა მწკრივად,
სოფლის შარაგზის ბოლოს
სდებდნენ პიროზახ მაშინ,
მირიანდების ქალი მე მეთხოვება თითქოს,
მირიანდების ქალი
მირიანდების ქალი...

თელ ბვივი
20.8.1987



## კორიანტელი 久旱逢甘雨 忍气吞声

ასე ვიწყებდი წუთების თვლას დიდების მარშით,
შემობრუნებულ ავდარს ჰგავდა ის კამათელი -
ბორგავდა ღამე სამაისო სამების წამში
და ფიქრებს სცრიდა შარშანდელი კორიანტელი.

ნუღარ იცინი,ჰა,დუმილი შეგიპყრობს განა
ნუღარ იცინი, გივიწყებენ შენ მეგობრებიც -
ღილით სამარის მოცვარული ხავერდის დარად
ვარდებს გიწვდიან მოლოდინის საგალობლებით.

დუმილი გინდა და ვრძელდება დუმილი დღესაც,
იგი დუმილის საიდუმლოს გვკარნახობს ერთი
ამო მახილი - სამიმწუხრო მშვენების ფერად,
ვით ევანგელე - მოციქულთა მახარობელი.

ზვავდება სევდა და სიგიჟის შეგიპყრობს ყინი
სევდის სამკაულ კრიალოსნებს აღაპყრობ ისევ -
და ელი პასუხს, მონოტონი უცინის ივლისს
სიონზე კრძალვით ესიზმრები მარტოულ მისნებს.

და კვდება აწმყო,მომავალში კვდება წარსულიც,
აქ იძირება უთავბოლო სიცრუის გემი -
იყავ ასეთი, დაგრჩენია შენ სათვისტომოც
სიცოცხლის ნერგად აღჩენილი სამყარო მთელი.

და იგი იცავს მოცელილი ციების ცვილი -
ცებზე ცრიცინით ცქრიალებენ ცელქი ცქლოფები ,
ცდება ცოდვილი სავარცხელა ცვალებად ციგლიგს,
ციცინათელას მონაცნევი ცნობის ცვრიებით.

ჩაივლის ეს დღეც,გადაირბენს ეს განსაცდელიც
იყო სიზმარი, იბადები თითქოს ხელახლა -
საკურთხეველთან მეორდება ის საზარელი
წამი განსახვის მისაწირველს რომ მიებარა.

იყო ვიდოდა და ფიქრობდა მოუსავალზე ,
აღორძინების დიადემად ენთო კანდელი -
პირველსაწყისში მატერიის იღებს განსაცდელს,
და ეცხადება მას სატანა ის საძაგელი...

ის საძაგელი სამართალში რუდუნებს, ბორგავს,
რომ მიათრევენ უპირსახო ციებ-ცხელებით -
და გაიხსენებს სამაისოდ მოვლენილ მოძღვარს
სამწირველოსთან ხელს აღაპყრობს სვენებ-ხვენებით.

წმინდა ადგილი მოულოცავთ ჩვენებურ ბალღებს,
ღმერთმა ნაკვალევს რა ხანია დაშტერებია -
ჯვრის მონასტერთან საიდუმლოს უნდილად ამხელს
შორს რომ კიაფობს,ეს სიცოცხლის საწერელია.
...
ასე ვიწყებდი წუთების თვლას დუმილის მარშით
შემობრუნებულ ავდარს ჰგავდა ის კამათელი -
ბორგავდა ღამით შავმოსილი ეული ქალი
და ფიქრებს სცრიდა მომავლების კორიანტელი.

თელ-ავივი, 1.7.87

## ტოკიო

აწვიმდა ტოკიოს ქუჩებს,კუშტად მომდევდნენ დღენი
იდგა გამოცანად გოგო - იაპონური სარკე,
გამოიდარებს ალბათ,ღრუბლებს მოსწყინდათ გოგო
და კუნძულების მიღმა ღამეს აწვალებდა მთვარე.

მე გამიღიმებს წამით,წარბებს მომაპყრობს,მზერა
დარჩება წუთხის ზოლად, მატარებლების ფერი -
იყო სიჩქარე შმაგი და საიდუმლო ვნება,
ის ბასანური ვნება პარიზელების თქეშში .

აწვიმს ტოკიოს ქუჩებს,ქუჩებს მივყვები მალვით
და ციმციმებენ შვებით ტკბილი ტუჩების ზოლში,
ქოლგა იმალება ისევ,ქოლგა მევლება ტანში -
და მეცხადება შინტო კვარასუნების ბროლში.

შენ გინახავდი ზაფხულს,შენ გინახავდი ზამთარს,
თან მიჰყვებოდნენ დედას,ამ მაისობის თავზე -
მწვანე ბიბინა ბალახს დღეს მაცუმოტო მართავს,
შოგონს მარხავდნენ კვნესით და მზეც ხუჭავდა თვალებს.

აქ სულს დავეძებ ურცხვად,სული მისხლტება ხელით,
სულს სულ სხვა კაში უნდა,სული მიყვება ზღაპარს-
აწვიმს ტოკიოს ბაღებს,ნისლი პირს იკრავს კვერთხით
და სამონასტრო წიგნებს ამიშრიალებს მამა.

იკვრება ცების რკალი,თვითმფრინავს მისდევს ხვნეშით,
დიდი აზიის სუნთქვა რჩება ნეპალის ველებს -
აქ მე შევკარი წრეში დიდი კუნ-ფუ-ცზის მადლი,
და შთაგონების წყარო რომ ეტმასნება ქედებს.

და ზის პოეტი, გამდელს დაეზმანება ისევ ,
ზის მარტოობის ეშვებს ვერ ააცილა რიდი -
მას განა მეტი უნდა, სხეულში აუგს ეძებს ,
თან განტევებულ ფიქრებს მიეკურთხება რისხვით.

აწვიმს და ისევ აწვიმს, ამ ხალხში ვეძებ შველას,
აქ მოკრძალებულ ღიმილს,ყვავილში ხედავ ჩართულს-
უპირსახოა ღამე, უპირსახოა ზეცაც -
წითელ ფოთლნარში ვამჩნევ იავნანების ქალწულს.

-----

ამ კუნძულებზე რა ხანია გაისმის ჰურა,
და ჰოკაიდოს შეაშფოთებს აინუს ბედი -
წყნარ ოკეანეს გადაევლო ურიცხვი სურო,
ყვავილებს მირთავს მორცხვენილი მოყვასი ჩემი.

განა შორსაა?! აქ რუსეთი იცინის გაღმა,
სულ სხვა ენაა, შამანური ისმის გალობა –
შინტოს ქურუმნი მიართმევენ დიდებულ ალმასს
და ქურუმ ღამეს შეაწვები პირისამოსად.

აწვიმს ტოკიოს, სადგურისკენ რბიან ბორბლები
ბორბლებს აწამებთ ნაგიყარი ქალაქის თვლემა –
მოვა ამაყად გამომიწვდის შესასვლელ ბილეთს
და აქ ტოკიოს ცისქვეშეთში სკრიაბინი მნვდება.

-----

და დასავლეთი იწყებს ციებ-ცხელებით კანკალს,
ნიპონის მწველი ვნება ეპირევლება წარსულს –
ჩარდაშს უსმენენ შვებით აქ სამურაის შვილნი,
ღამით ვუენოს ვეძებ სამოციქულოდ მარხულს.

ხელს ვხვევ, იცინის გოგო, იაპონური კდემით,
წელი ერხევა ცვრემით, ლაწვები კრთიან ცვარში –
მყუდროობაა ირგვლივ, მატარებლების გრუხუნს
თვალს გააყოლებს გიჟი, მოწყალებული კრძალვით.

წყალი და ისევ წყალი, წვიმა დგაფუნობს ისევ,
მოკვდავს მოსწყინდა სრბოლა, დუმს ვიოლინო გულში,
გამოიდარებს, შემდეგ გვირგვინს მოგართმევ გოგოვ-
გინზას დიდების პირმშოვ, არად დაგიდევ წუხილს.

僕
და ჩავკირკიტებთ ენას, შენს ამ მშობლიურ ენას
ერთად ვაწამებთ ასოს, მარცხნივ და მარჯვნივ ხტიან,
ფეხი, ხელები, ხაზებს ეტმასნებიან ირგვლივ –
დიდი ღმერთების შენი ემალებიან მზიანს...

მეც ამ ნიშნების წყებას, გონების მალით ვკრიბავ
და მარუზენში წიგნებს, ცნობიერებით ვამკობ –
მაბორიალებს ბედი, ცივი ქარები ჰქრიან
შენით ნაქარგი კალთით ამ ცივ ზამთარში მათბობ.

-----

ვარემოცულხარ თეთრი ბუშტით,გაწამებს რაღაც
იკებუკუროს მივუყვებით წვიმების თქეშში -
რჩება მინჯუკუ გამოცანად ჩვენს ჩვეულ დაღლას,
და გათანგული აქეთ ილწვის ნაცნობი ბერი.

ასეთი იყო შემოდგომის საღამო მწველი,
წვეთებს შხაპუნით მიმოსცრავდნენ მწუხრის ფიქრები,
კუნძულებს მიღმა ანგელოსნი კემსავდნენ ღამეს
და საიდუმლოდ მეშლებოდნენ ზამთრის იები.

ტოკიო, 4.10.1987

## ნილოსი

ჰა, ძევს კაირო უთვალავი ვარდის ფერებით
თითქოს ღმერთების სიკეკლუცეს ელის ანაზდად -
გადმოიწია ქვების ბჯენამ სვენებ-სვენებით
და ცისფერ ნილოსს ღამის დაღლა შემოაყარა.

გადაიბირებს,მას დარჩება ამ წლების სევდაც,
მიიზლაზნება, აუწერელ ბნედას მიუვალს -
აქ დადიოდა ქეფთ-ბეფს სულგრძელი მოდგმა
და ციცადელზე აელვებდა მოკვდავ იუდას .

მე ჩერქეზული რა ხანია დავღვარე სისხლი,
კვდება მამლუქი და სიკვდილით სიცოცხლეს იძენს,
ის გაულიმებს უპირსახო მშობლიურ დივლისს
ის კიდევ ერთხელ გამოიძევს სინდისის მიზეზს.

ისევ მივდივარ,ქვაფენილზე ილვრება მუქი
და შომმახიან მთელი ქვეყნის მალაქოწები,
გამოიდარებს და ქალაქზე ზევდება ბუთქი
ვით დედამიწა შერისხული სამარხოვნებში

დაჰყურებ ნილოსს და მიმწუხრის გედება ჟამი,
დაჰყურებ ტალღებს, ხარტუმისკენ ჰკრავენ კამარას-
ეთიოპიას შემოაწყდა შულომის ჯარი
მას დედოფალი ჩაუწვება კაბის ამარა.

ტიტინებ შენთვის, რას ტიტინებ მცხუნვარე მზეში
აფრიკის ველებს ოკეანის ედება ბინდი –
მას ახითხითებს ფერწასული ობოლი გოგო,
ვით საჩოქველში დაკარგული ცოდვილი გზირი.

იწვის კაირო, რა ხანია იწვის და იწვის
კრთება სიზმარი, რა ხანია კრთება და კრთება –
ხან-ელ-ხალილის სანახებთან მე წამებს ვითვლი
და ელ-აზჰართან ვეწაფები იხლამურ სევდას.

ნუღარ ტირიხარ, საყვარელო არაბო გოგოვ,
სფინქსის მომსხვრეულ სახეპირთან შენც გაზიარებ,
ტუტანჰამონი იმართება ლუქსორის ბოლოს,
რომ იისფერი ქრიზანთემით მოგირთოს ბადე.

აჰა, ხიდები, გაწოლილი გრძელი ხიდები
ხიდად ქცეულა ნაცრისფერი ქალაქი მთელი –
დადის რამზესი – შუაღამის უნდილო მეკვლე
რომ ქვა-აგურით გადახერგოს ჩვენი კინწლები.

მივიწევთ მაღლა – და წამებიც ითვლიან სრბოლას,
მოკვდავთ ლანდებში ეზმანებათ კავკასიონი –
იფრქვევა თეთრად კანისფერი და შემოდგომა,
აქ მობრძანდება ზამთრეული საფირონით.

მე მწამს და ვიცდი, ულევია ლოდინის ბოლო
დადის აბეზრად მორღვეული დიდების ნაშთი –
და გამიღიმებს საოცარი ვედრების სწორი,
ყინულმოდებულს შემომიცანს გაბზარულ მარხილს.

ჩაივლის ლანდი და სიკეთეს დამილევს თურმე,
თურმე გზაცდენილს სამყაროში ბევრი უვლია -
განა მე მისთვის დავინანებ ჩაკვირთულ კოკრებს,
რომ სამაისოდ ჩავეკონო უვიც-უნიათს.

ისევ მიცოცავს ლაინერი ცათა შორეთში -
მას გენეტიკის ლაბირინთი აწყდება ალბათ,
ადამიანმა მზეც დაჰკარგა ტვინის მორევში
და სიმარტოვეს გადაართხო სიცოცხლის კალთა.

მკვდრების ქალაქში რა ხანია ჩააქრეს ჭრაქი -
მკვდრების ქალაქში ცოცხლებს უყვართ ბედის მანტელი,
აქ კეთროვანი სიმარტოვე სამკაულთ ბარდნის,
რომ ციტადელზე აღიმართოს ჩვენი კანდელი.

და ანგელოზნი ამ ქვეყანას რეცხენ და რეცხენ,
მას შავი ფერი არ გაუვა ალბათ არადროს -
დააქროლებენ აქ ჰიქსოსნი თვალბადრა მერნებს -
მეწამულ ზღვასთან ფიცხად სდებენ სამარადჟამოს.

ასეთი იყო კაიროში შემოღამება -
იდო საქქარა ნაბოლარა ფარყოს ფიქრებში -
იდგა ჯოსერის პირამიდა ვით განცხადება,
ვით უჩვეულო განრიგება ძველი სიგელის.

მეც დავჩურჩულებ წვიმის წვეთებს,რბიან წამები,
წვიმის წვეთებში საიდუმლოდ სიცოცხლეს ვითვლი,
გიზეს ელება საარმიწო დარდის ალმური
და ეხნატონსაც ციბრუტივით მივემისნები.

მოველ,დავიპყარ...ჩერქეზულიც დავღვარე სისხლი,
ჩემი მოდგმაა,ამ ქვეყნის პირს რომ ეამბორა-
არაბი გოგო გაუღიმებს პირმცინარ ივლისს
და უდაბნოეთს შეასკდება ჩვენი თაობა.

მოველ და ვნახე...სანახავი ყოფილა ბევრი,
დაკორძილ ბაღებს ქვის სიმღერა ევლება მთენად -
აქ დადიოდა ის ბებერი, ჭკვიანი ბერი
ალექსანდრიის სიდიადის მსახველ-გამჩენად.

იწვა კაირო...უთვალავი ვარდის ფერებით,
თითქოს ღმერთების ნიკეკლუცეს აცანდა ფიქრებს,
გადმოიწია ქვების ბჯენამ ხვენებ-ხვენებით
და ცისფერ ნილოსს ჩაეხუტა ისის პირზე.

კაირო, 13.9.87

## ბანგკოკის ქუჩებში

ქუჩას ედება ნისლიანი ალმურის თალხი
ქუჩა გრძელდება და იმედიც ქრება მარტვოლში,
იყო ოცნება, დარჩა მხოლოდ საძარის კარი -
და საოცრება ტაილანდზე გადამხობილი.

რას მეურჩები,ღამით კრთიან ღლის ვარსკვლავები,
გწამდეს,იცოდე,რწმენით ალბათ მიაღწევ მიზანს,
წითელ ქურუმებს თმებით მიაქვთ ის სავარძელი
მე და შენ წუხელ რომ ვამკობდით საღამო-გვიანს.

ჰა,წვიმს ბანგკოკში - ღვართქაფებში კვდება ქალაქი,
ვინ იცის ახლა,რამდენს შივა,რამდენს სწყურია -
მივდივარ ნელა,ტროტუარზე დამკრთის აჩრდილი,
თითქოს მთვარესაც ჩემი წყენა მიუღურსია.

ასეც მინდოდა ის შიშველი გოგონა მგონებს,
ფიქრი და მზერა ღმერთმა მასზე გამანდობინა -
და სიბნელეში ირწეოდა ის სარეცელი,
ნაკურთხ სიტყვებში ბუდა ქრისტეს შეაცნობინა.

წვიმდა,ვიდექი,გავცქეროდი ქალაქს ურჩინარს,
ხიდებდამირულ. ხომალდს ჰგავდა ის საზარელი–
გამოისობა ხიამური – გოგოს შესცივდა,
როს სარეცელთან დავასვენე სამონასწრეთით .

წვიმდა ბანგკოკში, გადაეღო ცას საპირქველი,
ანთებდა ზეცას მიუვალი ღმერთების კვალი,
ძირს ენთხეოდა საწურველი ზმანება სველი –
და ოქრომბრების კაეშანი შემონაყარი.

მივდივარ განა, მიმაფრენენ წყნარად ველები,
წყნარ ოკეანეს შვებით სძინავს ამ მიდამოში –
ლოცვა-კურთხევად ამედევნა შენი სანთელი,
თეძო-თეთროვან მარმარილოდ რომ მიამკობდი.

მიყვარდა მაშინ,ჰო,იმ წუთში ვეძებდი მასში,
აზია-დედას,თვისი კალთა რომ მომაფარა –
თეთრ თეძოებზე თერძებს თითქოს აესხათ თვალი,
და შუაწელზე ციმციმებდა ცების კამარად.

ნუღარ მაწვალებ,ხედავ ისევ იღება კარი –
ნორჩად ირხევა ბანგკოკელი ასულის წელი,
გამოიდარებს და ბუდასლა შევრჩები მთვრალი,
გამონაცრილი სახოების ასთვალა ბედით.

წვიმდა და წვიმდა,ნაღვლიანი ოცნების წყარო,
ძველ პაგოდასთან მათხოვარი ითვლიდა ზღაპრებს–
ბუდას მოსწყინდა ოხუნჯობა და თვისი ცოლი –
ქვების ბადეში გახვეული ირჩევდა მართვებს.

ირჩევდა სარძლოს,ქორწილდება ბუდა ლოგინში,
მას ეზმანება იმ სამყაროს წუთხი და ბოლი–
წინ დაუდგება ლაოსელი ქალი მორჩილი,
და საუცხოო ცისარტყელის ემხი და ზოლი.

იღება კარი, ქართან ერთად შემოდის ქალი,
ის მე მიყვარდა - საოცრებად იდგა გამჩენი,
ტელევიზიას ავედრებდა ნაცხრომი თვალით -
და დამარცხებას ბანგკოკური ამონარწყევით.

სახელი ჩემი?!...სახელს ითხოვს გოგო ლამაზი,
წვიმა გვენთხევა,აქ ოთახში უჩუმრად სძინავთ
დამსხვრეულ სიზმრებს შემოდგომის გამოხაყარში,
სამყაროს დიადს,დიდი ხალხის ალანძულ დვრიტას.

მერიდიენი,ის სასტუმრო, ის სასწაული -
შავი ფიქრები, განაზრახი უწმინდესობის ,
ჩაწვება გოგო ნაჩნავების სუსტი მართულით -
და ბროლის ლაწვებს შემომავრთობს გამოისობით.

რა გინდა ახლა?!შენს ხელში ვარ მიყურებ შვებით
და გინელდება სიამური ვნება ნამცხრალი -
სარეცლის თავთან იმართება სიკეთე მწველი
და შენი ტანი ვითარც ღმერთი ნაქანდაკარი.

ღამეა ისევ, მივაბიჯებ,ბანგკოკის ქუჩებს,
სძინავთ უწყინრად,რა ხანია სძინავთ და სძინავთ-
ლანდად მომყვება მე ის გოგო ნაფერმკრთალარი,
საროსკიპოში ის ჩემს სახელს ფიცავს და ფიცავს.

არ ვტირი ახლაც, მიპკურებდნენ წვეთები სახეს,
და მედებოდა ნისლიახი ალმური შენი-
რჩებოდა ზვირთში... ის უთქმელი,ის გამოცანა -
ის მარიანა - ნასისხლარი ტყვეობა ჩემი.

ბანგკოკი, 24.9.87

# გშორდები ალბათ

სიყვარულით - დედას!

გშორდები ალბათ, ამ საღამოს მოისაკლისებ -
გაცრუებული იმედების ნაფლეთად დარჩი,
დგაფუნობს ცვალა და სამყაროს მოიმალისებს
მოფერმკრთალებულ, ჩახუნებულ შენეულ მანდილს.

გვწამდა, ვიდოდით და გამჩენის დღით მოისლულნი,
გუშინდელ თრობას ვემდუროდით სწორისპირობად -
გამთენიისას აისს სწვავდა რკალმოსანთლული,
ეფემერების სამაისო ქროლვა-მისნობა .

მას შეჰხაროდი და გწყუროდა ემბაზის წყალი,
გწყუროდა წყალი ვით შეომარს მზის ჩასვენება -
აიმართები სიზმრეული სვეცების ფარდი,
ლურჯი ოცნების მინებებულ მისაბჯენებთან.

გშორდები ალბათ, მე ამ ღამეს რაღას ვემდური,
დიდ გოლიათებს წყნარად სძინავთ, ჰა, რა ხანია,
მოგვმახის სოფლად ოქროსფერი თიბათვის სული,
თითქოს კაეშანს უცხო სევდა მოუნახია.

მოწმობს ნათელი ხხივფენილი სიცოცხლე მარტო,
არ მოიშორებს მთვარეული ბედკრულ საწამლავს -
მან მოუქარგა იავუნდი სიკვდილის სარძლოს ,
როს მიაბარებს ჩამონთქრეულ ღრუბლის ნატამალს.

გშორდები ალბათ, ამ საღამოს მოისაკლისებ,
გაცრუებული იმედების ნაფლეთად დარჩი,
დგაფუნობს ცვალა და სამყაროს მოიმალისებს
მოფერმკრთალებულ, ჩახუნებულ შენეულ მანდილს.

ხოლონი, 7.6.86



# დილმუნი

დაბადებისას გაქრა, ჩაინგრა,
სისინებს ქარი –
იქ სამოთხეში აღუმართეს ნიპპურს ტაძარი,
და იყო წყალი, ოთხი კუთხე,
ქალღმერთი ნანნა, ქალაქი ური,
მოსთქვამდა ჩუმად, ჭეშმარიტად, გოდების კერძი,
გახდა ნაწილი გაკვეთილის და ისტორიის,
იდგა კედელი

ორკეცდება დიდი ტაძარი,
აქ ჩემს დილმუნში ქარიშხალიც
მომიკვეთილებს, ჩამოწვა ღამე, რა წყვდიადია
ქმნადობა წმინდა –
და გაოცება, ვერუხიბს თითქოს,
წვიმად ანთხევს ყვითელი გველი
თავის სიწმინდეს
სუმერის მიწა გამოითხოვს დედა-საწირველს,
ამდენი ხარი, ამდენი ფური

ამდენი ვალი
ველი გაშლილა, მზის სარეცელს ჰგავს
ეს სოფელი, ლოცულობს, კრთება,
უცხო არის მხევლის ეს ლოცვა
დაიგლეჯს გულმკერდს, დაიკაწრავს
ლოყას და სახეს
უბედურება ეკვეხება და გაშანგალი თავისას
ითხოვს,
ამ წრებრუნვას შესცქერის კდემით

ცრემლი და სიტყვა ენაცვლებათ შავთავიანებს,
ხელმწიფე დგება დიდებული,
ზეიმით, ხვდება მას ბრძენი ხალხი
ხანამ დასაწყისს ინაკლისებს ის
დასასრული, გრძელი და ავი
თვალის გუგეში იძირება ძველი დილმუნი,

სუმერის ზეცა გადასცქერის
ორმდინარეთის დაფერფლილ ფესვებს -
და ოხრად რჩება, ოქრო და ვერცხლი
იაგუნდი და საფირონი
ბრილიანტებზე იფერფლება ჩემი სურვილიც
რომ ვიყო დიდი, რომ
ვიყო ძლიერ -
ვით დედამიწა,
ვით სუმერი
ვითარც დილმუნი.

რამათ განი,13.5.87

## ის

大鳴大放

რაღაცა არის,საიდუმლო გაუგებარი
ღამით შემოდის ჩემს ოთახში,
ჩაუვლის უხმოდ ჩემს სასთუმალს -
მიიპარება შუქის ზოლი, ვით
წმინდა აზრი,
ვითარც სიზუსტე უჭვრეტი ღმერთის
2 ×2 = 3(!) ან 2 × 2 = 5 (!)
ან იქნებ 2 × 2 = 4 (?)

რაღაცა არის და თითქოს ეჭვი,
ჩამოღრღნის უჯრედს იმ ხავსე ტვინში,
ღმერთი გაანდობს ადამიანს იმ საიდუმლოს,
მხოლოდ პირობას -
აღიმართება თანადროულ განზომილებად,
დაღლილი მქმნელი,
არ შეიცვლება ეს სამყარო,
იგივე დროში,

იგივე ადგილს დაეკურთხა,
ვით ილუზია, შერჩა ვით სმენა და
გაგება წმინდა სტრუქტურის -

ჩემი განცდაა და წარმოდგენა,
რაღაც ბრმა გრძნობა გამოუვალ ჩიხში
მიბიძგებს, სინათლის ზოლი
გაწოლილა ფიქრების ძაფი, რაღაცა არსი
წყვდიადია, კვანძი, ფორმულა,
იქ ტირანიის გიზგიზებს ცეცხლი

და რესპუბლიკის ბნედიანი კოსმოგონია,
აქ ამ ოთახში გაითხრება აწმყოს საფლავი
და დაკრძალავენ დემოკრატიას,
მზების დაფნებზე,
განისვენებს
უძრაობა, უშედეგობა,რაღაც მიზეზი,
და იბადება კიდევ ერთი ანკარა აზრი,
მოიმწიფებს ნარულევ თვალებს

აბობოქრდება და დაწყნარდება,ის
მოიგონებს თავის ღირსებას, ინკვიზიცია,
განკითხვა და რევოლუცია–
სისხლის ანაბეჭდს მოილანდავს
სუფთა ზეწარი, შემოვა უხმოდ
მოციქული დიდი პირობის,
იმ დიდი აღქმის
მას სოლიდარობს ის დუმილიც;
იხსნება კარი,განსაზღვრებათა ნაცნობ
ღვართქაფს ეფიქრება ეს დროითობაც –
ვსახიერდები ჩემსავე თავში
ვითარც მიზეზი, ვით ნიშანი რწმენის
და განსჯის

არის წყვდიადი, არის ზევრი
და არის ცოტა, ცბიერ ქალაქში კრულვად
ისმის ხმა სირენების, აყრყოლებს,ართობს
იძირება გამი საფლავში–
წარმოდგენების ცივ საფლავში
ემებენ გამჩენს,
იმ გამსახველს– თანმიმდევრობის
ელექტრონულ მემატიანეს –

შესაძლებლობა მელოზება, მმალავს ქალაქი,
მე ვიკუჭები ამ ოთახის ბედკრულ
კედლებში,
და მივასვენებ ჩემივ გვამის წამებულ
განცდებს, რაღაც უძირო ხიმძიმისკენ,
იქ სადაც დროა და უსივრცობა,
იქ სადაც სივრცე გამომძახებს
და უდროობა,
რა იოგური უდარდელი ცეცხლის ლიცლიცით,
წვება კოსმოსი

ამოუცნობი,დაძაბულობა რისხვის –
აქ დაიბადა ერთი კულტურა,
ერთი ერი, ერთი ენა, ერთი ქვეყანა
იშვა და მოკვდა, ახსენდება მკითხავი
ქალი,
იქ პარლამენტის დერეფნებში
ვიდოდა მწარე ცირილ-გოდებით,
მან უნდა გასძლოს, უნდა გასძლოს არა
აქვს სხვა გზა... არც სხვა მიზანი –

ის ხომ ყოველთვის დაურჩება მას გამოცანად,
ხორცის თვალები რაღას შესძლებენ,
რა უმწეოა ეს მომაბილი ქალწული ქალის
მაღალი ფორმა რჩება მიღმა,
ოთახში იწვის თეთრი კანდელი,
მე ვაშტერდები, მას დიდების იმედი
ჰქონდა,
და ვიღვენთები მის სანაცვლო
უნდო ფორმულად
გამომიძახებს, ვეხმაურები,
ცივი კედლები ექოს სცემენ დღის მორიდებით,
სურათი –
სურათის ჩარჩოს ჩააცივდა შეშლილი მთვარე,
ვეხმაურები,
ჩემი თავის ჩუმ უარყოფად,
სანამ მიზეზი ამომწურავს უმიზნობაში,
სანამ დუმილი გამეფდება აქ ჩემს ოთახში,
სანამ

იშვება წმინდა ფორმა
ჩემივე სახით,
ამ ჩემს ოთახში კარგი იქნება,
თუ ყურმილის მბგერავ ოცნებებს
მეც გადმომიწერ უსიტყვობის იეროგლიფებში -

ხანამ შეგრჩები განტოლების ურიცხვო ფესვი,
სანამ შეგრჩები უძლურების ზუსტი ფორმულა,
ერთი უცნობი, ერთი ვიღაცა
.....
ჰაერი, ნული და სასოება.

თელ ავივი, 14.7.1986

## ლაბირინთებში

功敗垂成

ნაცრისფერი ზეციდან ითართლება დაისი,
უდაბნოურ ტრამალებს მიჰყვებიან ფიქრები -
ნაოხრალი სიცოცხლე ტიალებით ჩაივლის
საიდუმლო ფერების ნაცნობ ლაბირინთებში.

ნუ მოიწყენ, ლანდები ლიცლიცებენ შორეთში
და დღეუვალ კამარას შავი ღმერთი ასკდება,
გეფერება სიცოცხლე ცისფერ სამაროვნებში,
როცა სოფლის შარაგზას წიფლი მოეფარფლება.

ივიწყებენ გარდასულ ტკივილს დედის ხელები,
ზამთარს ვინ გაიხსენებს, ამ იანვრულ ზმანებას,
ვეფინები გამკრთალი უამქვეყნო ჩვენებით
ლაბირინთებს შერჩება ჩემი არმობრმანებაც.

ხინგაპური, 13.10.87